პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 37-ე წელი | № 201 (10595) | ოთხშაბათი, 29 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის

დაძაბული დღეებია ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებზე. ფართო ფრონტით არის გაშლილი ნათესების დამუშავება და მეცხოველეობისათვის საკვების დამზადება, დასასრულს უახლოვდება მოსავლის აღება. სოფლის მეურნეობის მშრომელები ყოველივე ამასთან ერთად ზრუნავენ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის — ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის. ექვი არ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ამ რთული კომპლექსიდან გამარჯვებული გამოვა ის, ვინც გამოიჩენს მეტ ორგანიზებულობასა და ოპერატიულობას, ვისაც უნარი შესწევს მობილიზაცია გაუკეთოს მთელ თავის ძალებსა და ტექნიკურ საშუალებებს.

საშემოდგომო პურს დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩვენი რესპუბლიკის მარცვლეულის ბალანსში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ წელს საქართველოში საშემოდგომოდ დაითესება ექოთხედ მილიონ ჰექტარზე მეტი.

საშემოდგომო თესვის მოსამზადებელი პერიოდი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. უფრო მეტიც. ზოგიერთი კოლმეურნეობა (მაგალითად, გორის რაიონის შინდისის მტს-ის ზონის სასოფლო-სამეურნეო არტელები) უკვე შეუდგა თესვას. მალე ამ კამპანიაში ჩაებმებიან მთიანი რაიონების კოლმეურნეობები.

მიმდინარე წლის საშემოდგომო ხვნა-თესვის დამახასიათებელი თავისებურებაა ამ სამუშაოს გაზრდილი მექანიზაცია. საკმარისია აღინიშნოს, რომ სათესი მიწების ცხრა მეათედზე მეტი მოიხვნება ტრაქტორებით და მთელი ეს ფართობი რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარის გამოკლებით დაითესება მანქანებით. ეს მოწმობს სოციალისტური სოფლის მეურნეობის სულ უფრო მზარდ ტექნიკურ შეიარაღებას და მტს-ების გადამწყვეტ როლს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. მაგრამ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გაზრდილი დონე ამავე დროს დიდ ამოცანებს აკისრებს მექანიზატორებს საშემოდგომო თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეში.

ბევრგან კარგად ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის. ამ მხრივ მისაბაძია სიონაღის რაიონის წნორას მტს-ის მექანიზატორთა მუშაობა. ისინი ახლა გაძლიერებული ტემპით ხნავენ და ატარებენ ნიადაგის თესვისწინა დამუშავებას. წნორელმა მექანიზატორებმა გულმოდგინედ შეაკეთეს და შეამოწმეს ყველა სათესი მანქანა. მტს-ის ზონის ხუთივე კოლმეურნეობამ მოიმარაგა და სათეს კონდიციამდე აიყვანა საკმაო თესლი. ეს მტს-ი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. მაგრამ ყველგან სათანადოდ როდი ემზადებიან თესვისათვის. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და მტს-ში ამ სერიოზულ კამპანიას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. რედაქციაში შემოსული სიგნალებით ირკვევა, რომ კაპრეთის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებში მოწესრიგებული არ არის შრომა, აგრეგატთა დიდი ნაწილი ღამით არ მუშაობს. მექანიზატორებს დაწესებული არა აქვთ ხვნის, აგრეთვე თესვისწინა სხვა სამუშაოს ყოველდღიური და ხუთდღიური დავალებები. ცხადია, ყველა ეს ხარვეზი თავის დაღს დასვამს თესვის სამუშაოთა შესრულების ვადებსა და ხარისხს. მსგავსი მდგომარეობაა ბევრ სხვა მტს-შიც. ამის შედეგად 20 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში ანეულის პირველი დამუშავების გეგმა შესრულებული იყო 38,7 პროცენტით, მეორე დამუშავებისა — 11,4 პროცენტით.

წელს საშემოდგომო ნათესების ნაწილი განლაგებული იქნება პურეულისაგან განთავისუფლებულ ნაკვეთებზე. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში (ადიგენი, ასპინძა და სხვ.) შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს მოსავლის აღება და განთავისუფლებული ნაკვეთების ხვნა, რითაც აქ საფრთხეს უქმნიან მომავალი წლის უხვ მოსავალს.

საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის ზრუნვის უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა სრულფასოვანი სათესლე ფონდების შექმნა. მაგრამ როგორ არის ამ მხრივ სინამდვილეში საქმე? საქართველოს სსრ თესლის კონტროლის ცენტრალური ლაბორატორიის 20 აგვისტოს ცნობებით რესპუბლიკაში სულ კონდიციურია 88.776 ცენტნერი თესლი, ანუ საჭირო რაოდენობის 17,8 პროცენტი. იმავე დროისათვის არც ერთი ცენტნერი კონდიციური თესლი არ ჰქონდათ ახალქალაქის, ახალციხის, თიანეთის, ადიგენის, ბორჯომის რაიონებს, მაშინ როცა ამ მთიან რაიონებში თესვა რესპუბლიკაში ყველაზე ადრე იწყება. როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ჩანს აღნიშნული რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ნაკლებად აფიქრებთ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ზრუნვა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ების და კოლმეურნეობების პირველი რიგის ამოცანაა სწრაფად აღმოფხვრან საშემოდგომო თესვისათვის მზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, შემჭიდროებულ ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ ეს კამპანია.

ახლა მთავარია ყოველი ღონისძიებით დავაჩქაროთ საშემოდგომო ხვნა და ნიადაგის თესვისწინა დამუშავება, მოვიმარაგოთ და სათეს კონდიციამდე ავიყვანოთ მთელი სათესლე მასალა. ხვნა უნდა ვაწარმოოთ ორ ცვლად — მთელი დღეღამის განმავლობაში, ამასთან საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ ბრიგადას, ტრაქტორისტს ჰქონდეს ამ სამუშაოს ყოველდღიური და ხუთდღიური დავალებები, რომელიც აუცილებლად უნდა სრულდებოდეს.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მექანიზატორთა გამომუშავების მაღალი ნორმებისათვის, ყველგან გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება, ამ საქმეს დაუმორჩილონ მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საშემოდგომო თესვისათვის მზადებისა და ამ კამპანიის ჩატარების პერიოდში.

საჭიროა უახლოეს დღეებში ყველგან დავამთავროთ სათესი აგრეგატების მომზადება და თესვის პერიოდშიც ყველა ღონისძიება მივიღოთ მათი შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი ორგანოები, მტს-ები და კოლმეურნეობები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ, სათანადო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნან მექანიზატორებს.

გადაუდებელი ამოცანაა გადაჭრით დავაჩქაროთ სათესლე მასალის გამოყოფა, გაწმენდა და სათეს კონდიციამდე აყვანა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას. სოციალისტურ მრეწველობასთან ერთად მკვეთრი აღმავლობის გზით მიდის ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა. საბჭოთა სამშობლოს არასოდეს არ მიუღია იმდენი პური, რამდენსაც მიიღებს იგი წელს. პური ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და ძლიერების წყაროა. საშემოდგომო თესვის პერიოდში მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის საფუძვლის ჩაყრით კვლავ გავახაროთ დედა-სამშობლო.



27 აგვისტო

ოჩამჩირის რაიონი

ლილი ჯოლარია სოციალისტური შრომის გმირი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მან მოკრიფა 57 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 5.143 კილოგრამი და იბრძვის 7.000 კილოგრამის მოკრეფისათვის.

ძალიკ მელიტონიანმა სოფელ სომხური ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 46 კილოგრამი ჩაი. დღემდე მოკრეფილი აქვს 4.716 კილოგრამი ნედლეული. მისი ვალდებულებაა მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

გეგეჭკორის რაიონი

თამარ წულაია ჩაის ფოთოლს კრეფს სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 50 კილოგრამი. დღემდე მოკრეფილი აქვს 3.175 კილოგრამი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა.

ლამარა ჯანჯღავამ ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაი. სულ მოკრეფილი აქვს 3.207 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა.

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო

ბაქო, 28 აგვისტო. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო. ინდონეზიის პრეზიდენტს ახლავან ინდონეზიის პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაინულ არიფინი, პარლამენტის თავმჯდომარის მეორე მოადგილე არუჯი კარტავინატა, პარლამენტის წევრი დოქტორი სუკიმან ვერიოსანჯოიო, სამხრეთ სუმატრის გუბერნატორი ვინარნო დანუატმოკო, პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ა. კ. პრინგოდიგდო და სხვა ოფიციალური პირნი.

ბაქოს აეროდრომი საზეიმოდ არის მორთული. აეროპორტის შენობა მორთულია ინდონეზიის რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ალმებით. წითელ ქსოვილებზე ინდონეზიურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე აღბეჭდილია მისალმების სიტყვები.

ინდონეზიის პრეზიდენტს სუკარნოს შეხვდნენ აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. იბრაჰიმოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. რ. რაშიდოვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. გ. რაჰიმოვი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდონეზიაში დ. ა. ქუკოვი, მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. საზოგადოებრივობისა და პრესის წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის იყო აგრეთვე სსრ კავშირში ინდონეზიის რესპუბლიკის საელჩოს მეორე მდივანი ბ-ნი ამრატი.

... დილის შვიდი საათი და ორმოცი წუთია. აეროპორტის პერონს მოადგა თეთრფრთიანი მანქანა. თვითმფრინავის კართან გამოჩნდა პრეზიდენტი სუკარნო, რომელსაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ, და მისი თანმხლები პირები.

საპატიო ყარაულის უფროსი უპატაკებს პრეზიდენტს. ორკესტრი ასრულებს ინდონეზიის რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ჰიმნებს. პრეზიდენტმა სუკარნომ და მ. ა. იბრაჰიმოვმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს. მ. ა. იბრაჰიმოვი გულთბილად მიესალმა სტუმრებს.

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ საპასუხო სიტყვაში განაცხადა:

— მე თქვენს ქვეყანაში ჩამოვედი, როგორც ინდონეზიის 80 მილიონიანი ხალხის წარმომადგენელი, ხალხისა, რომელიც იბრძვის კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის უღლის წინააღმდეგ. მე ჩამოგიტანეთ თქვენ სალამი ჩვენი ხალხისა, რომელიც მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების მომხრეა. ჩემი ერი ახალგაზრდა არ არის, მაგრამ უკანასკნელ 350 წელიწადს ჩვენ უცხოელთა უღელქვეშ ვიმყოფებოდით და ინდონეზიელმა ხალხმა მხოლოდ 11 წლის წინათ ამოისუნთქა თავისუფლად. ახლა ჩვენ ვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა დავძლიოთ ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობა, რომელიც იმის შედეგია, რომ ინდონეზიას მრავალი საუკუნის მანძილზე ექსპლოატაციას უწევდა უცხოეთის კაპიტალი.

მე სიხარულით ჩამოვედი თქვენს ქვეყანაში, რათა გავეცნო მის მიღწევებს, რომლებზეც ბევრი რამ გვსმენია ჩვენს სამშობლოში. ჩვენ ვეცდებით შემდგომში გამოვიყენოთ ჩვენში, ინდონეზიაში ყველაფერი, რის გამოყენებაც კი შესაძლებელი იქნება. ერთხელ კიდევ გამოვთქვამ იმედს, რომ ჩვენი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ინდონეზიის ხალხების თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ სტუმრები კვლავ სხდებიან თვითმფრინავში. ისინი, მოსკოვს მიმავალნი, გაჩერდებიან სტალინგრადში.

მოსკოვს ჩამოვიდა ინდონეზიის პრეზიდენტი დოქტორი სუკარნო

28 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ინდონეზიის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე — პრეზიდენტი დოქტორი სუკარნო.

საპატიო სტუმრის ჩამოსვლის აღსანიშნავად საბჭოთა დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები მოირთო ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. გამოფენილია სუკარნოს პორტრეტები და ტრანსპარანტები ინდონეზიურ და რუსულ ენებზე წარწერით: „სალამი ინდონეზიელი ხალხის სახელოვან შვილს პრეზიდენტ სუკარნოს!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ძვირფასო, ინდონეზიელო სტუმრებო!“.

ასევე საზეიმოდ იყო მორთული ცენტრალური აეროდრომი. 17 საათსა და 52 წუთზე დაეშვა თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდა საპატიო სტუმარი.

აქ შეიკრიბა ათასობით მოსკოველი. ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა არმიის მარშლები და გენერლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, მუსლიმთა სამღვდელოების წარმომადგენელნი.

პრეზიდენტ სუკარნოს შეხვდნენ ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლ. ნ. პალარი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

ინდონეზიის პრეზიდენტის პატივსაცემად აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შეასრულეს ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები, ბავშვებმა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტ დოქტორ სუკარნოს და მასთან ერთად ჩამოსულ სხვა სტუმრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს.

კ. ე. ვოროშილოვმა და დოქტორმა სუკარნომ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს აეროდრომზე.

პრეზიდენტი სუკარნო აეროდრომიდან წავიდა კრემლში მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში. ქუჩებში შეკრებილი ათეულ ათასობით მოსკოველი მქუხარე ტაშით მიესალმა პრეზიდენტ სუკარნოს, კ. ე. ვოროშილოვსა და ნ. ა. ბულგანინს, რომელნიც ღია მანქანით მიდიოდნენ, აგრეთვე ინდონეზიელ სტუმრებს, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, რომელნიც მათ მიჰყვებოდნენ სხვა მანქანებით.

პრეზიდენტ სუკარნოს გზაზე ხვდებოდნენ „ვაშას“ შეძახილებით, გაისმოდა მისალმებანი საპატიო სტუმრის პატივსაცემად, ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის აღსანიშნავად. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ეგვიპტის დელეგაციის ხელმძღვანელი — თაჰრირის პროვინციის გუბერნატორი მუჰამედ მაგდი ჰასეინი

28 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მოსკოვში მყოფი ეგვიპტის დელეგაციის ხელმძღვანელი — თაჰრირის პროვინციის გუბერნატორი მუჰამედ მაგდი ჰასეინი და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

პურის მკა მთაში

გასცდები თუ არა საბადურის ვეება ტყეს, გამოჩნდება სიგრძე-სიგანეზე კვადრატივით თანაბრად გაშლილი ერწოს ვაკე და ხეხილის ბაღებში ჩამჯდარი ლამაზი სოფლები. ამ გაშლილ ვაკის მარტო სახნავ-სათესი ფართობი 4.500-მდე ჰექტარს შეადგენს. კოლმეურნეებს უთესიათ კარტოფილი, ჭარხალი, სიმინდი, ლობიო, მზესუმზირა, ხორბალი, ქერი და სხვა მარცვლეული კულტურები. ერწოში მოსავალი თიანეთის ზონასთან შედარებით რამდენიმე დღით ადრე შემოდის. ამიტომ წელსაც პირველად აქ დაიწყო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის შერჩევითი აღება.

მკის დაწყების დღიდანვე მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომკავშირელი მექანიზატორი ლ. წიწაკიშვილი, რომელიც „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მტს-ის მეზობლად მდებარე სოფელ საყდრიონის კოლმეურნეობაში იღებს მოსავალს. მას თავისი აგრეგატი ყოველთვის სანიმუშო წესრიგზე აქვს. ტექნიკური გაცდენის შემთხვევები იშვიათია, რაც მკის ყოველდღიურ დავალებათა დიდი გადაჭარბებით შესრულების საშუალებას აძლევს. პირველ ხუთდღიურში მან 85 ჰექტარი მომკა და თვითეულ ჰექტარზე 15 ცენტნერი ხორბალი გალეწა. ახალგაზრდა მექანიზატორმა კარგად იცის, რომ კომბაინს რაც უფრო დაბალ ჭრაზე ამუშავებს, მით უფრო შეუწყობს ხელს კოლმეურნეობას პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში.

კარგ შედეგებს აღწევს აგრეთვე ახალგაზრდა კომბაინერი ვ. ბურდული, რომელიც მკის ყოველდღიურ დავალებას 130—140 პროცენტით ასრულებს. გალეწილი ხორბლის დროზე დაბინავების საქმეს მონდომებით ემსახურებიან მძღოლები ვ. ჩოკალაშვილი და შ. ტუშური. ისინი სწრაფად ცლიან კომბაინის ბუნკერებიდან მარცვალს და მიაქვთ კალოზე. საყდრიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება დოვლათისა და შემძლებელი ცხოვრების საწინდარია. ამიტომ კომბაინებთან ერთად ისინი ხელითაც შეუდგნენ მოსავლის აღებას. მოსავლის აღებაში განსაკუთრებით დაწინაურდა მემინდვრეობის მე-5 ბრიგადა, რომელსაც ივ. წიკლაური ხელმძღვანელობს. ბრიგადაში ოცდაათამდე კოლმეურნეა, რომლებიც ყოველდღიურად გადიან მინდვრებში სამუშაოდ. მათ შორის განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩევიან მკელები ს. ტუშური, შ. ბადაგაძე, მეძნეური ქალები ეკ. ტუშური, მ. ივანური და სხვები, რომლებიც დღეში ნორმანახევარს ასრულებენ.

სოფელ გორანის ტიმოშენკოს სახელობის კოლმეურნეობაში მკაში კარგ წარმატებებს მიაღწია კომბაინერმა გ. გოგოჭურმა, რომელიც „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით დღეში 14-15 ჰექტარზე იღებს მოსავლს და ჰექტარზე 12 ცენტნერ მარცვლეულს ლეწავს. კოლმეურნეობამ ხუთ დღეში ასაღები 248 ჰექტარიდან უკვე 130 ჰექტარი მომკა. ერწოს უბანში ყველაზე ხვავიანი სოფელ გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ყანები გამოდგა. აქ კომბაინერმა ფ. მათურელმა ყოველ მომკილ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვლეული გალეწა.

სოფელ თოლენჯის კოლმეურნეობაში მკის დაწყებისას მტს-მა არ შეუწყო ხელი კოლმეურნეობას მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების საქმეში. „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი, რომელსაც ი. ძებნიაური მართავდა, ტექნიკური უწესივრობის გამო ხშირად იყო მომცდარი. ორ ჰექტარს ძლივს მკიდა. კოლმეურნეობამ (გამგეობის თავმჯდომარე მ. ბიჩინაშვილი) კარგად მოაწყო მოსავლის ხელით აღება. ხუთ დღეში ასაღები 298 ჰექტარიდან 152 ჰექტარზე აიღო მოსავალი. მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში თავი ისახელეს მკელებმა ა. და ხ. სუხიაშვილებმა, ა. ცომაკურიძემ, ნ. იარაჯულმა და სხვებმა, რომლებიც დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ. მეურმეები ვ. ფეიქრიშვილი, თ. ბუჯიაშვილი და ვ. კბილცეცხლაშვილი დღეში 7-8 ურემ ძნას ეზიდებიან კალოებზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 ურმისა. მომკილი ყანების დაზვინვაზე მონდომებით მუშაობენ ვ. კაცელაშვილი, კ. კოკოზაშვილი, ნ. გაბიტაშვილი და სხვები.

სოფელ ჩეკურაანთგორის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მკაში განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი ბრიგადა, რომელსაც ვლ. ბაიაშვილი ხელმძღვანელობს. კოლმეურნე ქალები ე. ბაიაშვილი და ა. გორელაშვილი მკის ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებდნენ.

გუდანელების მახარაძის სახელობის და საყდრიონის კოლმეურნეობებმა უკვე ჩააბარეს დამზადების პუნქტს ორმოც-ორმოცი ტონა ხორბალი.

მაგრამ მკა და ლეწვა ყველგან წარმატებით როდი მიმდინარეობს. მოსავლის აღებაში თავიდანვე სამარცხვინოდ ჩამორჩა სოფელ სიმონიანთ-ხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ცუდად მუშაობს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი, რომელსაც ნ. წიკლაური მართავს. მან 20 ჰექტარი ყანის მომკას 5 დღე მოანდომა. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ვლ. ხახნელიძე) ვერ დარაზმა მშრომელები მოსავლის ხელით აღებისათვის.

მოსავლის აღება ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე არტის ვოროშილოვის სახელობის და ტუშურების კოლმეურნეობებში. არტნის კოლმეურნეობაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი უკვე 3-4 დღის შემოსული იყო, როცა მკა დაიწყეს. მსგავს ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით. დრო არ ითმენს. მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

შ. ამირანაშვილი.

საკავშირო პროფსაბჭოში

ნითელი დროშები და საპატიო სიგელები — მებოსტნეებსა და მებაღეებს

საკავშირო პროფსაბჭოს სამეცადინო პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს დაავალა შეაჯამონ მუშა-მოსამსახურეთა მებოსტნეობისა და მებაღეობის განვითარებისათვის პროფკავშირული ორგანოების მუშაობის შედეგები, აგრეთვე მიაკუთვნონ გარდამავალი წითელი დროშები და საპატიო სიგელები პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ბოსტნების უხვი მოსავლის მოყვანისა და კოლექტიური მებაღეობის წარმატებით განვითარებისათვის. ამ მიზნით პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს ნება მიეცათ დააწესონ გარდამავალი წითელი დროშები — არაუმეტეს ორისა თვითეულისათვის.

დროშები, სიგელები და ფულადი პრემიები შეიძლება მიეკუთვნოს პროფკავშირების კომიტეტებს, რომლებიც თვითეულ კვადრატულ მეტრზე, რაიონის მიხედვით, მოიყვანენ კარტოფილს ორი-სამი კილოგრამის რაოდენობით, კომბოსტოს — სულ ცოტა ხუთ კილოგრამს, ჭარხალსა და სტაფილოს — ოთხ კილოგრამს, თავიან ხახვს — ორ კილოგრამს. ეს ჯილდოები მიეცემა აგრეთვე იმ პროფკავშირთა კომიტეტებს, რომლებიც ყველაზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს ჩააბამენ კოლექტიურ მებაღეობაში და მიწის ნაკვეთების უკეთ ათვისებაში.

ფულადი პრემიები, რომლებსაც საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები მიიღებენ, გამოყენებულ იქნება იმ პროფკავშირული აქტივის პრემირებისათვის, რომელიც მონაწილეობდა მებოსტნეობისა და კოლექტიური მებაღეობის განვითარებაში. (საკდესი).

ყაზბულქვანახშირის ტრესტმა შეასრულა რვა თვის გეგმა

ტყიბული, 28 აგვისტო. (საქდესი). 28 აგვისტოს ტყიბულქვანახშირის ტრესტმა შეასრულა რვა თვის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 14,3 პროცენტით გადიდდა.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა შეასრულა რვა თვის გეგმა

ჭიათურა, 28 აგვისტო. (საქდესი). ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 26 აგვისტოსათვის შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების რვა თვის გეგმა. ჭიათურელი მაღაროელები იბრძვიან იმისათვის, რომ ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულონ წლიური დავალება.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

სუბტროპიკული რაიონების მეჩაიეები კვლავ ნელი ტემპით განაგრძობენ მუშაობას. ამის შედეგია, რომ აგვისტოს 25 დღეში მოკრეფილია 18.859,4 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც აგვისტოს გეგმის 48,3 პროცენტს შეადგენს. სეზონის დაწყებიდან 25 აგვისტოსათვის სულ მოკრეფილია 88.477,1 ტონა ჩაი ანუ წლიური გეგმის 75 პროცენტი.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის აგვისტოს დავალება შესრულებულია 55,2 პროცენტით, ქობულეთის — 50,7, გალის — 42,9, ოჩამჩირის — 48,8, გულრიფშის — 48,2, სოხუმის — 42,4, გუდაუთის — 42, მახარაძის — 56,6, ჩოხატაურის — 73,7, ლანჩხუთის — 38, სამტრედიის — 36,5, წულუკიძის — 34, ქუთაისის — 21,8, წყალტუბოს — 40,6, ტყიბულის — 33,3, ცხაკაიას — 40.7, აბაშის — 33,3, გეგეჭკორის — 46, ზუგდიდის — 45,1, წალენჯიხის — 54,1, ჩხოროწყუს — 59,2, ხობის — 47, თერჯოლის — 20,4 პროცენტით.

ბოლომდე აღმოვფხვრათ პიროვნების კულტის გადმონაშთები პროპაგანდისეულ მუშაობაში

ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის — ქუთაისის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ და თავდადებულ შრომას ეწევიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ღია პარტიულმა კრებებმა, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვას მიეძღვნა, კომუნისტებისა და უპარტიოების დიდი აქტივობის ვითარებაში და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა. ამ კრებებმა ერთხელ კიდევ მკაფიოდ ცხადყო, თუ რამდენად გამოიბრძმედნენ პოლიტიკურად მშრომელთა ფართო მასები, როგორ ამაღლდა მათი აქტივობა, მოვალეობის გრძნობა და პასუხისმგებლობა პარტიის საქმისათვის, როგორ განმტკიცდა პარტიის კავშირი უპარტიო მასებთან და გაიზარდა ხალხის ნდობა თავისი კოლექტიური ბელადის — სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

ერთსულოვნად მოიწონეს რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ქუთაისის მშრომელები გაბედულ და პრინციპულ ბრძოლას ეწევიან ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების ბოლომდე აღმოფხვრისათვის. მეაბრეშუმეობის ზონალური სადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე კომუნისტმა შ. გიორგაძემ ქალაქის ყველა მშრომელის აზრი გამოხატა, როცა განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი აცამტვერებს მტრული იდეოლოგიის ცილისმწამებლურ ბოდვას, რომელიც სტალინის პიროვნების კულტს ხსნის არა გარკვეული ისტორიული პირობებით, არამედ თვით საბჭოთა წყობილების ბუნებით. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ ჩვენმა ქვეყანამ დიდი წარმატებები მოიპოვა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრინციპული ბრძოლა პიროვნების კულტის წინააღმდეგ ნათლად მოწმობს პარტიის ძალას, ორგანიზებულობას და მისი რიგების ურყევ დარაზმულობას.

ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტის ფართო განხილვა მოეწყო აგრეთვე სამთო მანქანათმშენებელ ქარხანაში, სამკერვალო ფაბრიკაში, საკონსერვო ქარხანაში, მაუდის ფაბრიკაში, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, ქალაქის სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში. ამ განხილვამ ახალი ძალით ცხადყო მშრომელთა ერთიანობა და დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო. მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ შევეხოთ ცალკეულ ანტიპარტიულ გამოსვლებს და ზოგიერთ შემთხვევაში ღია პარტიული კრებების მოუმზადებლად მოწვევის ფაქტს. საავტომობილო ქარხნის საიარაღო საამქროს პარტიულ ორგანიზაციაში 40-ზე მეტი კომუნისტი ითვლება, ღია პარტიულ კრებაზე კი სიტყვით მხოლოდ ორი კაცი გამოვიდა. ამათგან ერთი — კომუნისტი დ. წოწორია გამოვიდა სტალინის პიროვნების კულტის შესახებ იმ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებიც მოწონებულია სკკპ XX ყრილობისა და მთელი პარტიის მიერ. სამწუხაროდ, კრებაზე დამსწრე კომუნისტებს არ აღმოაჩნდათ გამბედაობა მტკიცე, პრინციპული პასუხი გაეცათ დ. წოწორიასათვის, რომელიც პარტიის წინააღმდეგ ცილისწამების ანტიპარტიულ გზას დაადგა.

როგორც ამას წინათ გამართულ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღინიშნა, ქუთაისში დღემდე კიდევ არიან სტალინის პიროვნების კულტის გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები. ამის უმთავრესი მიზეზია იდეოლოგიური მუშაობის სეზონური ნაკლოვანებანი, ის, რომ ქალაქის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად განუმარტავენ მუშა-მოსამსახურეებსა და ინტელიგენციას ხალხის მასების, კომუნისტური პარტიის როლს კომუნიზმის შენებლობაში, პიროვნების კულტის ანტიმარქსისტულ არსს, იმ ზიანს, რაც სტალინის კულტმა მიაყენა საბჭოთა ხალხს, მათ შორის საქართველოს მშრომელებს.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებული ლექტორთა ჯგუფი თავის პროპაგანდისტულ მუშაობაში დღემდე გვერდს უვლიდა სტალინის პიროვნების კულტის საკითხს, ცუდად განუმარტავდა მშრომელებს მის ანტიმარქსისტულ არსს. საკმარისია ითქვას, რომ ლექტორთა ჯგუფის ძალებით ქალაქის მშრომელებისათვის წელს ერთი ლექციაც კი არ არის წაკითხული თემაზე „სკკპ XX ყრილობა პიროვნების კულტის გადმონაშთების დაძლევის აუცილებლობის შესახებ“. ასევე არც ერთი ლექცია არ არის წაკითხული თემაზე „ლენინური ეროვნული პოლიტიკა და მეურნეობისა და კულტურის ხელმძღვანელობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოება“. უმნიშვნელო რაოდენობით იკითხება ლექციები ისეთ საინტერესო თემაზე, როგორიც არის „მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ“.

ამ უკანასკნელ ხანებში პარტიის საქალაქო კომიტეტმა გადადგა ნაბიჯები იქითკენ, რომ პარტიული პროპაგანდა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ცხოვრებას. მეტი ყურადღება ექცევა კადრების ეკონომიური ცოდნით შეიარაღებას. მიუხედავად ამისა, იდეოლოგიური მუშაობიწ გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელა წარმოებს. კადრების ეკონომიური სწავლების მიზნით საქალაქო კომიტეტმა გასული სასწავლო წლის პირველ ნახევარში მოაწყო წარმოების ეკონომიკის საკითხებზე ლექციების ციკლის წაკითხვა. კადრების ერთ ნაწილს ლექციებს უკითხავდნენ პარტიულ ბიბლიოთეკაში, მეორე ნაწილს კი — საავტომობილო ქარხანაში. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. თბილისიდან მოწვეული ლექტორების ჩამოუსვლელობის გამო და იმის გამო, რომ მათი შემცვლელი ლექტორები ადგილზე ვერ შეარჩიეს, 26 მარტის შემდეგ ციკლის ლექციების კითხვა შეწყდა. ცხადია, ამ გარემოებას არ შეეძლო ცუდი გავლენა არ მოეხდინა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაზე.

პოლიტიკურ აგიტაციაში ხელმძღვანელი მუშაკების უშუალო მონაწილეობა, მშრომელთა კრებებზე მოხსენებებით გამოსვლა პარტიული მუშაობის ლენინური ტრადიციაა. საჭიროა, რომ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები სისტემატურად გამოდიოდნენ და განუმარტავდნენ მშრომელებს, თუ პიროვნების კულტის შედეგად როგორ მოიპოვა სტალინის განსაკუთრებული ნდობა პარტიისა და ხალხის საზიზღარმა მტერმა ბერიამ და როგორ ვერაგულად ანადგურებდა იგი საუკეთესო პარტიულ და საბჭოთა კადრებს, ქართველი ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლებს, როგორ უხეშად მახინჯდებოდა ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

როგორ ასრულებს ამ ამოცანას პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებული პოლიტიკურ მომხსენებელთა ჯგუფი? ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად. ეს ხაზგასმით აღინიშნა პარტიული აქტივის საქალაქო კრებაზეც. ფაქტია, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები მ. გვასალია, ს. ფხაკაძე, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ვადაჭკორია და სხვები იშვიათად გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით საწარმოებისა და დაწესებულებების მშრომელთა კრებებზე. ფაქტია ისიც, რომ 1 მაისის შემდეგ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისა და მოსახლეობისათვის ერთხელაც არ წაკითხულა პოლიტიკური მოხსენება. პარტიულ ბიბლიოთეკაში არის პოლიტიკურ მომხსენებელთა ჯგუფის წევრთა დიდი ხნის წინათ შედგენილი სია. ამ სიაში ითვლებიან მთელი რიგი ამხანაგები, მაგალითად, მ. ბიბილეიშვილი, ბ. ბუკია და სხვები, რომლებიც კარგა ხანია ქუთაისში აღარ მუშაობენ და ამიტომ პოლიტიკური მოხსენებებითაც არ გამოდიან.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობის შედეგად მთელ რიგ საწარმოთა და დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების მავნე გავლენის განმარტების საკითხებს. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, აბრეშუმკომბინატის პარტიულ ორგანიზაციაში. აგიტატორები თავიანთ საუბრებს ზერელედ აწყობენ პარტიის XX ყრილობის მასალებზე და განსაკუთრებით სტალინის პიროვნების კულტზე. ისინი ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითებითა და ფაქტებით არ აჩვენებენ იმ ზიანს, რაც სტალინის პიროვნების კულტმა მიაყენა საბჭოთა ხალხს, მათ შორის საქართველოს მშრომელებს. ნაკლებად ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე.

სწორედ სტალინის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის ცუდად დაყენებულ ახსნა-განმარტებაში უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ აბრეშუმკომბინატის მოსამზადებელი საამქროს პარტიული ორგანიზაციის კრებამ, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას განიხილავდენ, დაბალ იდეურ დონეზე ჩაიარა. კრების მონაწილენი, თუ მომხსენებელს არ მივიღებთ მხედველობაში, შემწყნარებლურად მოეკიდნენ და მტკიცე პასუხი არ გასცეს საგრეხი გადასვლის ინსტრუქტორის, კომუნისტ მ. ჭყონიას ანტიპარტიულ გამოსვლას. საკვირველია, რომ აბრეშუმკომბინატის პარტიულ კომიტეტს და მის მდივანს კ. მარუაშვილს ერთი თვის შემდეგაც მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ მ. ჭყონიას ანტიპარტიული ცილისმწამებლური გამოხდომა. როგორც გამოირკვა, მ. ჭყონია გასული სასწავლო წლის პირველ ნახევარში კომკავშირული პოლიტსკოლის პროპაგანდისტი იყო. ადვილი გასაგებია, თუ როგორი პროპაგანდისტი იქნებოდა იგი, რომელსაც ჯეროვანი პარტიული აღზრდა და საჭირო პოლიტიკური წრთობა არა აქვს მიღებული.

პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების დაძლევა პარტიული ორგანიზაციების დაუღალავ მუშაობას მოითხოვს. კომუნისტებს, რომლებიც პიროვნების კულტის მცდარ გაგებას უშვებენ უსუსურობის, არასაკმაო იდეური წრთობის გამო, მოთმინებით უნდა განვუმარტოთ მათი შეცდომები, დავეხმაროთ ამ შეცდომების გამოსწორებაში. ხოლო რაც შეეხება ღვარძლიან კრიტიკანებს, რომლებიც ცდილობენ პარტიის საფუძვლების რევიზიის მიზნით გამოიყენონ შინაპარტიული დემოკრატია, „პარტიული ცხოვრების საკითხების საქმიანი განხილვის თავისუფლება, მათ მიმართ არავითარი შემწყნარებლობა არ უნდა გამოვიჩინოთ.

თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ქმედითი პროპაგანდა, რომელიც მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მეურნეობისა და კულტურის განვითარების პრაქტიკულ ამოცანებთან. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ მოითხოვენ მთელი პროპაგანდისტული მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. მაგრამ პროპაგანდისტულ მუშაობაში ჯერ კიდევ ბოლომდე როდია აღმოფხვრილი პიროვნების კულტის მავნე შედეგები, მედავითნეობა და დოგმატიზმი, წარსულით გატაცება და სკოლარობა.

ეს ნაკლოვანებანი განსაკუთრებით მაგრად არის ფეხმოკიდებული პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში. მიუხედავად იმისა, რომ განყოფილებაში 200-ზე მეტი ლექტორი ითვლება, დღემდე ერთი ლექციაც არ არის წაკითხული ლენინური ეროვნული პოლიტიკის საკითხებზე, პიროვნების კულტის გადმონაშთების დაძლევის აუცილებლობაზე. რამდენიმე ლექტორი კითხულობს ლექციას თემაზე „მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიაში ხალხის მასებისა და პიროვნების როლის შესახებ“. მაგალითად, ამ თემაზე კითხულობს ლექციებს ლექტორი ვ. გულუა. მაგრამ მის ლექციის ბევრი ნაკლი აქვს, ამასთან ძირითადი ნაკლია ის, რომ იგი სავსეა ზოგადი ფრაზებით, მოწყვეტილია ცხოვრებას. ლექტორს არ მოჰყავს არც ერთი კონკრეტული ფაქტი და მაგალითი იმ დიდი ზიანის ნათელსაყოფად, რაც სტალინის პიროვნების კულტმა ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხალხს მიაყენა. იგი კმაყოფილდება ზოგადი მსჯელობით ხალხის მასების როგორც ისტორიის შემოქმედის როლის შესახებ, ამავე დროს არც ერთი კონკრეტული ფაქტი და მაგალითი არ მოჰყავს საბჭოთა ადამიანების, ქუთაისის მშრომელთა გმირულ ბრძოლასა და შრომითს მამაცობაზე.

განყოფილების ლექტორების მიერ წელს ხალხთა მეგობრობის საკითხებზე 30-ზე მეტი ლექციაა წაკითხული. მარტო ამ ლექციების სათაურებს გაცნობა საკმარისია იმისათვის, რომ ცხადი გახდეს ლექტორების წარსულით აშკარა გატაცება: „რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ისტორიიდან“, „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ისტორიიდან“, „რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ისტორიული ფესვები“ და სხვ. ამ უკანასკნელ თემაზე ლექციებს კითხულობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. ჯანელიძე. მაგრამ ლექცია მოწყვეტილია თანამედროვე ცხოვრებას. ავტორი ვრცლად მოგვითხრობს სავაჭრო ურთიერთობასა და გზებისათვის ბრძოლის ისტორიაზე, ხოლო რუსი და ქართველი ხალხების თანამედროვე ურთიერთობისა და მეგობრობისადმი ლექციის დასასრულს მიძღვნილია ერთადერთი აბზაცი.

ლექტორი ა. ებრალიძე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე კითხულობს ლექციებს. ქუთაისის საწარმოთა კოლექტივების შესანიშნავი ცხოვრება, ამ კოლექტივების ძმური მეგობრობა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, კიროვაბადის, ლენინაკანის მშრომელებთან მდიდარ მასალებს იძლევა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე საინტერესო ლექციის მოსამზადებლად. ცნობილია, რომ დიდმა რუსმა ხალხმა ქუთაისის მშრომელებს აჩუქა მაუდის ფაბრიკის მოწყობილობა და დაეხმარა ამ პირველი დიდი სამრეწველო საწარმოს ამუშავებაში. მაგრამ ყოველივე ამის შესახებ ა. ებრალიძის ლექციაში თითქმის არაფერია ნათქვამი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება არადამაკმაყოფილებლად ეწევა პროპაგანდას პიროვნების კულტისა და მისი შედეგების აღმოფხვრისათვის.

— ეს განყოფილება ამ მხრივ ცუდად რომ მუშაობს, ჩვენი ბრალიც არის, — აცხადებენ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკები.

ეს სწორია, მაგრამ საქმეს მარტო აღიარება როდი შველის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს მთავარ ამოცანად დაუსახა ღრმად განუმარტონ კომუნისტებს და ყველა მშრომელს სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, სტალინის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსი და მისი მავნე შედეგები. ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის, პირველ რიგში პარტიის საქალაქო კომიტეტის მოვალეობაა მებრძოლურად შეუდგნენ ამ ამოცანის განხორციელებას, ბოლომდე აღმოფხვრან პიროვნების კულტის გადმონაშთები სამეურნეო, კულტურული და იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგში.

ვ. შავგულიძე,
ზ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს მოწინავე ხარატი მურმან მიქელაძე ყოველდღიურ დავალებას 300-315 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ხარატი მ. მიქელაძე კარუსელურ ჩარხზე მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

ახალგაზრდა მაღაროელები უკრაინაში გაემგზავრნენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამ დღეებში ჭიათურის ახალგაზრდა მაღაროელთა ერთი ჯგუფი უკრაინაში გაემგზავრა. ახალგაზრდა მაღაროელთა დელეგაციას, რომელშიც შვიდი კაცი შედის, ხელმძღვანელობს ლენინის სახელობის მაღაროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. სხირტლაძე. დელეგაციაში შედიან ლენინის სახელობის მაღაროს მარგანეცის ცენტრალური გამამუხვეველი ფაბრიკის მემანქანე გ. კაპანაძე, სტალინის სახელობის მაღაროს მბურღველი მ. ამყოლაძე, ამავე მაღაროს ცვლის უფროსი ო. ხითაროშვილი, დიმიტროვის სახელობის მაღაროს უბნის გამგე ინჟინერი ზ. პატარიძე, ამავე მაღაროს მებიგე ს. ქაშაკაშვილი და მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს ხარატი ი. მოდებაძე.

ჭიათურელი ახალგაზრდები დათვალიერებენ ნიკოპოლისა და კრივოი როგის მარგანეცისა და რკინის მადნის მაღაროებს, გამამუხვეველ ფაბრიკებს, მექანიკურ ქარხნებსა და სახელოსნოებს. ისინი გაეცნობიან მოწინავე მაღაროელებისა და კომკავშირული ორგანიზაციების გამოცდილებას, თავის მხრივ უკრაინელ ამხანაგებს გაუზიარებენ თავიანთი მუშაობის მეთოდებს.

ჭიათურელ ახალგაზრდა მაღაროელთა უკრაინაში ყოფნა ხელს შეუწყობს ორი მოძმე რესპუბლიკის მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას, ხალხთა დიადი მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

საუბნო საავადმყოფო სოფელ რუისპირში

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ რუისპირში დამთავრდა საკოლმეურნეო საუბნო საავადმყოფოს მშენებლობა, რომელზეც ნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯა. საავადმყოფო 15 ოთახისაგან შედგება. თერაპიულ და სამშობიაროო განყოფილებებში დადგმულია 15 საწოლი. საავადმყოფოს აქვს სტომატოლოგიური კაბინეტი, სალექციო დარბაზი და წითელი კუთხე.

საავადმყოფოს საზეიმოდ გახსნას ესწრებით რუისპირელი კოლმეურნე დაესწრო. ბევრი სტუმარი იყო თელავიდანაც.

გამოვიყენოთ ყველა რეზერვი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა-თვის

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

სოფლად ცხარე მუშაობის დღეებია. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ენერგიულად შრომობენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენს რესპუბლიკაში კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა რეზერვის მთლიანად გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის — აი ის არსებითი საკითხები, რომელთა წარმატებით გადაჭრისაკენ მიმართულია ახლა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელის ღონისძიებანი.

სოფლკორი ვ. ქარქაშაძე თერჯოლის რაიონიდან იტყობინება, რომ სოფელ რუფოთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ბეჯითად შრომობენ, იბრძვიან იმისათვის, რომ წელს მოიყვანონ ძვირფასი სასურსათო და საფურაჟე კულტურის — სიმინდის უხვი მოსავალი. 138 ჰექტარ სიმინდის ნათესში პირველი და მეორე თოხნა-კულტივაცია აგროტექნიკურ ვადებში ჩატარდა. კოლმეურნეები დ. და ვ. ოქრუაძე, გ. არეშიძე, ა. გურგენიძე, ო. ხუჯაძე, ა. რობაქიძე კარგად უვლიან ნათესებს. კოლმეურნეობა მთელ მუშაობას ისე წარმართავს, რომ ჰექტარზე მიიღოს 40-50 ცენტნერი სიმინდი.

ზუგდიდის რაიონიდან სოფლკორი ვ. ბერაია გვწერს, რომ აბასთუმნის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ა. ბაკურია, ე. და ლ. ბერაია, მ. ლიპარტია და პ. ფირცხელავა თითო ჰექტარ სიმინდს უვლიან და პირობა აქვთ დადებული ჰექტარზე მოიყვანონ 65-70 ცენტნერი მოსავალი.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“. ჩვენი გაზეთის მკითხველი მ. ტაკიძე გვატყობინებს, რომ შუახევის რაიონის სოფელ ტაკიძეების კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას და გაალიერეს ხეხილის ნარგავების მოვლა.

წელს კოლმეურნეობები პირუტყვისათვის გაცილებით მეტ საკვებს ამზადებენ ვიდრე წინა წლებში. დუშეთის რაიონიდან სოფლკორი ა. ხუციურაული თავის კორესპონდენციაში აღნიშნავს, რომ მაღაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ბუნებრივი ბალახის კარგი მოსავალი მიიღო — ჰექტარზე 20-22 ცენტნერი. თიბავენ წარმატებით მუშაობენ კოლმეურნეები ძ. წელაშვილი, ი. მახური, გ. ღურბელაშვილი. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ფერმის გამგე ნ. თურმანიული, ბრიგადიერები ი. ჯანაშვილი და შ. ღურბელაშვილი.

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის კოლმეურნეობაში წამყვან დარგს მეცხვარეობა წარმოადგენს. კოლმეურნეობის ვალდებულებაა თვითეულ სულ ცხვარზე მიიღოს 5 კილოგრამი ყველი და 3,5 კილოგრამი მატყლი. ალვანელები ცხვარს კარგად უვლიან. კოლმეურნეები გაცხოველებით ემზადებიან ყიზლარის სახამთრო საძოვრებზე ცხვრის ნორმალურად გამოზამთრებისათვის. საკვებმომპოვებელი ბრიგადა ყველა ზომას იღებს, რომ ზამთრისათვის საკვების საკმაო მარაგი დამზადოს. ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას თავის წერილში სოფლკორი ი. ჩიტაშვილი.

კოლმეურნეთა დაუღალავ შრომაზე გვატყობინებს ლანჩხუთის რაიონიდან „კომუნისტის“ მკითხველი ნელი ძნელაძე. სოფელ მამათის კოლმეურნეობა, — წერს იგი, — ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა რაიონში. ბ. კილაძის რგოლმა გადამეტებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის იკლისის დავალება. რგოლის წევრები კარგად მუშაობენ აგვისტოშიც. ჩაის კრეფის გეგმებს წარმატებით ასრულებენ რგოლები, რომლებსაც ბ. და ა. კილაძე, ლ. სალუქვაძე, გ. როყვა ხელმძღვანელობენ.

მევენახეობის განვითარებისა და ბარსაქართველოს კოლმეურნეთა ზონაში. ამ ზონის ცალკეული კოლმეურნეობები საშუალოდ ჰექტარზე 100 და მეტ ცენტნერ ყურძენს იღებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერი მუშაკი მ. ჯანაშია გვწერს:

„კოლხეთის ზონაში მევენახეობის განვითარებას ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა. საკმაო რაოდენობით არა აქვთ შესასხურებელი აპარატები, ქიმიკატები. შემდგომში არ შეიძლება ასეთი მდგომარეობა შევიწყნაროთ. საჭიროა კოლმეურნეობებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ მძლავრი სანერგე მეურნეობის შექმნას. კოლხეთის ზონის სხვა რაიონებს შორის ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჩხოროწყუს რაიონი — სოფელ ახუთის მიკრორაიონი, სადაც შესაძლებელია მიღებულ იქნას საუკეთესო მასალა მაღალხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრული ღვინოების დასამზადებლად. აქ არსებობს მიწის დიდი ფართობები, სადაც მიზანშეწონილია შეიქმნას საუკეთესო ჯიშის ვაზის — ოჯალეშის საბჭოთა მეურნეობა. ეს საკითხი შესწავლილია საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს მიერ. საჭირო მისი დაჩქარებით გადაწყვეტა“.

ჩვენს კოლმეურნეებს დიდად ესაჭიროებათ შაბიამანი ვაზის შესაწმლავად. ამ საკითხთან დაკავშირებით ინჟინერ-ტექნოლოგი ვ. ბრეგაძე გვატყობინებს, რომ 1943-1945 წლებში ქუთაისის ლიტაპონის ქარხანასთან საცდელად მოეწყო შაბიამნის წარმოება. მაგრამ საამქრო ტექნიკურად სრულყოფილი არ არის. საჭიროა ამ საამქროს გაფართოება ისე, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს საქართველოში შაბიამნის წარმოება. კარგი იქნება, თუ ამ საკითხით დაინტერესდებიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროები.

ცნობილია, რომ სერიოზული მნიშვნელობა აქვს ნახშირორჟანგის გამოყენებას მცენარის მოსავლიანობის გადიდებისათვის. აგრონომი ე. დეკანოსიძე თავის წერილში წერს:

„საქართველოში არის უდიდესი რეზერვები ნახშირორჟანგის როგორც გაზის, ისე მშრალი (ყინულის) სახით მისაღებად. გომის სპირტის ქარხანაში შესაძლებელია მოეწყოს ნახშირორჟანგის ფართოდ წარმოება. ნახშირორჟანგის გადატანას მინდვრებში ხელს შეუწყობს ისიც, რომ იგი პაერზე მძიმეა და ძირს ეფინება, მისი გადაზიდვა შეიძლება ბალონებით, რკინის მილებით და სხვ. ამ საკითხის მოგვარება ხელს შეუწყობს მოსაგლიანობის გადიდებას“.

სამგორის ველზე ბოსტნეულის და სხვა კულტურების მოყვანის საკითხს ეხებიან თავიანთ წერილში აგრონომები ვ. სიმონიშვილი და შ. ახობაძე. ისინი აღნიშნავენ, რომ გარეუბნის რაიონის სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან მოწყობილია ბოსტნეული კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ნაკვეთი. ცდები წარმოებს სამგორის ველზე. გამოირკვა, რომ კარგ მოსავალს იძლევიან პამიდორის ჯიშები: „ერლიანა“, „ბრინჯვის გრუნტი“; კომბოსტოს ჯიშები „ნომერი პირველი“, „ოქროს ჰექტარი“; ბადრიჯნის ჯიშები: „გრძელი ალისფერი“, „გარდაბნის გაუმჯობესებული“.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულზე შრომითი დანახარჯების შემცირების საკითხს ეხება თავის წერილში აგრონომი ხ. მორგოშია. იგი წერს, რომ ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის პერეუბინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს მნიშვნელოვნად შეამცირა შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე. მაგალითად, შარშან კოლმეურნეობამ ერთი ჰექტარი სიმინდის დასათესად დახარჯა 39,6 შრომადღე, წელს კი—13,2 შრომადღე.

ჩვენი გაზეთის მკითხველთა მიერ აღძრული საკითხები მოწმობენ, რომ საკოლმეურნეო სოფელს აუთვისებელი რეზერვები აქვს სოციალისტური სოფლის მეურნეობის კულტურის ამაღლებისათვის, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მასწავლებელთა აგვისტოს თათბირზე

წელს მასწავლებელთა აგვისტოს ტრადიციული თათბირები ჩატარდა პარტიის XX ყრილობის მიერ სახალხო განათლების დარგში დასახული გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მობილიზაციის ნიშნით.

ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სკოლების მასწავლებლებმა 27 აგვისტოს, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებელთა მრავალრიცხოვანმა არმიამ, თათბირზე განიხილეს საკითხი სკოლის მუშაობის ძირითადი ნაკლის — ცხოვრებისაგან სწავლების მოწყვეტის დაძლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის მოსწავლეთა მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ამხ. მ. იავრიანი. თათბირმა მოისმინა აგრეთვე მოხსენება თემაზე — აღმზრდელობითი მუშაობა და დისციპლინის განმტკიცება სკოლებში (მომხსენებელი განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ნ. მატათაშვილი).

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ გრანდიოზული ამოცანების შესახებ, რომლებიც სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების წინაშე დგას ახალ სასწავლო წელს.

თათბირის მონაწილეებმა საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთეს გასული წლის შედეგებს, ფართოდ განზოგადეს მოწინავეთა მუშაობის გამოცდილება, დასახეს კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

რაიონის სკოლებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის. სასწავლო-მატერიალური ბაზის მოწყობაში სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ საშრეწველო საწარმოები. შეფი ორგანიზაციების დახმარებით სახელოსნოები მოეწყო 77-ე, 89-ე, 92-ე, 82-ე და მთელ რიგ სხვა სკოლებში.

სანიმუშოდ მოვლილი სასწავლო-საცდელი ნაკვეთი აქვს 78-ე საშუალო სკოლას. აქ ეწყობა მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა საბუნებისმეტყველო საგნების საპროგრამო მასალის მიხედვით. სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრემ, რომელსაც ბიოლოგიის მასწავლებელი ა. ბოიაჯიანი ხელმ

საქართველოს მეშახტეები დიდი ამოცანების წინაშე

...ახალხო მეურნეობის განვითარების ...ში ქვანახშირის მრეწველობას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ...ერავს. ქვეყნის ეკონომიკისათვის ...ნახშირი, როგორც ყველაზე იაფი და ...ობრივად საჭირო საწვავი, ისევე ...ოლებელია, როგორც პური ადამიანისათვის. ამიტომ არის, რომ პარტიის ... ყრილობამ თავის გადაწყვეტილებაში ქვანახშირის მრეწველობის სა...ხებს განსაკუთრებული ადგილი და...ა და საბჭოთა მეშახტეებს ამოცანად დაუსახა 1960 წლისათვის ქვანახ...ის ამოღება 593 მილიონ ტონამდე ...ოდონ.

...ამ დიდი ამოცანის შესრულებაში ...ართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა თავიანთი წვლილი უნდა ...ტანონ. მეშახტეთა, უწინარეს ყოვ...ის მათი ხელმძღვანელების, მთავარი ...ცანაა არ გვყავდეს არც ერთი ჩა...ჩენილი კოლექტივი, ყველა შახტში ...ატებით სრულდებოდეს ქვანახშირის ...მოპოვების სახელმწიფო გეგმა.

...ბლა ჩვენი რესპუბლიკის შახტებში ...ატებით ინერგება სამთო გამონა...ევართა გამაგრება ლითონის სამაგ...ისალით. გადაწყვეტილია ახლო ხან... გამოიყენონ რკინაბეტონის სამაგრი ...ლაც. ამ საქმეში საჭიროა მეტი მო...ერება და ენერგია, ვინაიდან სამთო ...ონამუშავრებში რკინაბეტონის კონ...ექციებით ლითონის კონსტრუქციის ... შეცვლა დიდ გავლენას მოახდენს ...ნახშირის თვითღირებულების შემ...ებაზე, შრომის უსაშიშრობის უზ...ველყოფაზე. რკინაბეტონის კონს...ექციებით სამთო გამონამუშევართა ...აგრება საერთო მოწონებას იმსახუ...ს. ამას წინათ ამხანაგებმა ნ. ს. ...ეშოვმა, ა. ი. კირიჩენკომ და სსრ ...შირის ქვანახშირის მრეწველობის ...არმოთა მშენებლობის მინისტრმა ...გ. მელნიკოვმა დონბასში ყოფნის ...ოს დაათვალიერეს შახტები, სა...ე ამ სახის გამაგრებას იყენებენ, ...მოწონეს იგი. საჭიროა დაჩქარდეს ...ობა ჩვენს შახტებში რკინაბეტონის ...აგრი მასალის გამოყენებაზე გადა...ველად.

...ახალი ტექნიკის, გაუმჯობესებული ...თო მექანიზმების მასობრივად და...ერგვამ, შრომის ორგანიზაციის გაუმ...ესებისათვის ზრუნვამ მეშახტეებს ...ეალება მისცა მნიშვნელოვნად გაე...ებინათ ქვანახშირის მოპოვება. ...ს შედეგად 1955 წელს ქვანახშირის ...ოვების მოცულობამ ოთხჯერ გა...ცარა 1940 წლის დონეს და 6 პრო...ტით — 1954 წლის დონეს.

...ელს განვლილ 7 თვეში საქართველ...ს მეშახტეებმა გეგმა მხოლოდ 94,7 ...ოცენტით შეასრულეს. მართალია, ...ალნის შესაბამის პერიოდთან შე...ებით ამ შვიდ თვეში მათ 4,4 პრო...ტით მეტი ქვანახშირი მოგვცეს, მაგ... ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ... ყველა პირობა ჰქონდათ არ დაეშ... გეგმის შესრულებაში ასეთი ჩა...ჩენა. ეს უწინარეს ყოვლისა უნდა ...ქვას ტყვარჩელელ მეშახტეთა შესა...ებ, რომლებმაც წელს ძალიან შეასუს...ს მუშაობის ტემპი, ჩამორჩნენ ტყი...ელ თანამოძმეებს.

...მოწინავეთა გამოცდილების გავრცე...ება უდიდესი სამეურნეო მნიშვნელო...ს საქმეა. ეს საქმე კი, შეიძლება ითქ...ს, ტყვარჩელის სამეურნეო, პარტი...ულმა და პროფკავშირულმა მუშაკებმა დაივიწყეს, ამასთან შეანელეს ყურადღება ისეთი საწარმოო საკითხებისადმი, როგორიც არის სამთო მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენება და მათი გაცდენის მინიმუმამდე შემცირების უზრუნველყოფა, ახალი ტექნიკის დანერგვა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და ა. შ.

შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი ზრდის უზრუნველსაყოფად დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ნოვატორი მეშახტეები, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მათი გამოცდილება ადგილობრივ რჩება, მისი გავრცელებისათვის ყოველივე ის, რაც საჭიროა, არ კეთდება. მაგალითად, ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა მნგრეველმა ი. ორჯონიკიძემ მოაწყო კონვეიერული დანადგარების რევერსიული მართვა, რამაც დიდად აამაღლა ამ დანადგარებზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება. მის უბანზე ახლა სამაგრი მასალის მიზიდვა საწვეხ სანგრევამდე ხდება მექანიზმის საშუალებით — ჯალამბრით, რომელიც სავენტილაციო შტრეკშია მოწყობილი. ჯალამბარი ორივე მიმართულებით მექანიკურად მოძრაობს და ბრიგადას სამაგრი მასალის მოსაზიდავად ხელით შრომა აღარ უხდება.

ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადებები შემოიტანეს და განახორციელეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში მექანიკოსებმა ი. მოლოტოვმა, ზაიცევმა, ცვლის ოსტატმა ა. ნოსენკომ, ინჟინერმა მანგალაძემ, ზეინკლებმა ა. აჩენტოვმა და გელაძემ, ელექტროშემდუღებელმა პ. ბაიდარმა და სხვ.

წელს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მოწინავე სამშახტო კოლექტივებმა, კარგად მომუშავე უბნებმა და ბრიგადებმა 16-ჯერ მოიპოვეს პრემიები და საპატიო ადგილები სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. თუ ამ მოწინავე კოლექტივებმა შეძლეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვება, რასაკვირველია, ასეთივე მაჩვენებლების მიღწევა სხვებსაც შეეძლოთ. ცნობილია, რომ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს. შახტების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება ჩვენში თანდათან უმჯობესდება. ამჟამად ამ სიმძლავრეთა ათვისების პროცენტი 83-ს აღწევს. მაშასადამე, არსებულ სიმძლავრეთა 17 პროცენტი ჩვენს შახტებში ჯერ გამოუყენებელია, უძრავად არის. სხვა მიზეზებთან ერთად ამითაც იხსნება, რომ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის 12 შახტიდან განვლილი 7 თვის გეგმა მხოლოდ ხუთმა შეასრულა.

პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ ჩვენი მეშახტეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფო უდიდეს თანხებს აბანდებს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის გასაფართოებლად. ჩვენი მეშახტეების პატრიოტული ღირსების საქმეა ამ მზრუნველობას უპასუხონ ქვანახშირის მოპოვების გაძლიერებით.

მარტო უკანასკნელი ორი ხუთწლედის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 1,8 მილიარდ მანეთი. ამ თანხიდან მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ათვისებულ იქნა 400 მილიონი მანეთი. ამ პერიოდში ჩვენი მეშახტეებისათვის აშენდა 230 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, გაიხსნა კლუბები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, სამშობიარო სახლები, სბავშვო დაწესებულებები, სასკოლო შენობები და ა. შ. ამას წინათ მეშახტის დღის აღსანიშნავად ახალციხელმა მეშახტეებმა საჩუქრად მიიღეს ახლად აგებული და საუკეთესოდ მოწყობილი მუშათა კლუბის შენობა. მეშახტეთა კულტურის სახლები შენდება აგრეთვე ტყიბულსა და ტყვარჩელში.

ჩვენი მეშახტეების ვალია ახლა განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება იმ მოუწესრიგებელი საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც იწვევენ შეფერხებებს მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში. მთავარია ადგილობრივი რეზერვების ამოქმედება, საშახტო ფონდის საპროექტო სიმძლავრის სრულად ათვისება და სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების ფართოდ გაშლა.

ტყიბულელი და ტყვარჩელელი მეშახტეების, განსაკუთრებით ქვანახშირის გამამდიდრებლების, გადაუდებელი ამოცანაა გადაჭრით გაუმჯობესონ ქვანახშირის ხარისხი, რათა გამამდიდრებელმა ფაბრიკებმა შეძლონ მაღალხარისხოვანი საკოქსე კონცენტრატის ისეთი რაოდენობით გამოშვება, რომ მთლიანად დაკმაყოფილებულ იქნას რუსთავის მეტალურგიის მოთხოვნილება. ამჟამად მეტალურგებს ხელი ეშლებათ მეტი ლითონისათვის ბრძოლაში იმის გამო, რომ ან არ ყოფნით ის საკოქსე კონცენტრატი, რომელსაც ტყვარჩელელი და ტყიბულელი გამამდიდრებლები უგზავნიან, ან ეს კონცენტრატი უფრო მეტ ნაცარს და ტენს შეიცავს, ვიდრე ნორმით არის დასაშვები. საკოქსე კონცენტრატებში ნაცრიანობისა და ტენიანობის ნორმატივამდე დაყვანა მეშახტეთა და ქვანახშირის გამამდიდრებელთა გადაუდებელი ამოცანაა.

ქვანახშირზე შეუნელებლივ მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამჟამად რესპუბლიკაში შენდება ორი ახალი შახტი. მომავალ წელს საფუძველი ჩაეყრება სხვა ახალი შახტების შენებლობას. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს, უწინარეს ყოვლისა შახტმშენებლების ამოცანაა უზრუნველყონ ახალი შახტების მოწყობის მაღალი ტემპი, მთავრობის მიერ დანიშნულ ვადებში აამუშაონ ახალი სიმძლავრეები და ამით ხელი შეუწყონ სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი ქვანახშირით.

ეჭვი არ არის, საქართველოს მეშახტეები და შახტმშენებლები კვლავაც გაამართლებენ საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნდობას, მიაღწევენ ახალ წარმატებებს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

ვ. ჟუჩულოვია,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილე.

ჩაისუბნელებმა ვალდებულება გაანაღდეს, ახლა დამატებით

80 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის იბრძვიან

მისაგაძი მაგალითი

ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას ნაკისრი ვალდებულებით წელს 300.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა. ეს ვალდებულება განაღდებულია. მოკრეფილია 300.700 კილოგრამი. კოლმეურნეობამ აიღო ახალი ვალდებულება, დამატებით მოკრიფოს 80.000 კილოგრამი ნედლეული.

ამ კოლმეურნეობაში 169 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან სრულმოსავლიანია 122 ჰექტარი. პლანტაციები სანიმუშოდ არის მოვლილი. დროულად ჩატარდა საზამთრო, საგაზაფხულო და საზაფხულო სამუშაოები, ნიადაგში შეტანილ იქნა 150 ტონა ფოსფოროვანი, 250 ტონა აზოტოვანი სასუქები, აგრეთვე 50 ტონა კალიუმის სასუქი.

მუშახელის სრული დატვირთვით გამოსაყენებლად და ყოველგვარ ამინდში ფოთლის კრეფის უზრუნველსაყოფად ფართობებში დამატებით მოეწყო 22 ფარდული, მკრეფავებისათვის მომარაგეს 200 წყვილი საწვომარი ტანსაცმელი.

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებას და კრეფის ტემპის გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკოლმეურნეო სბავშვო ბაგის მოწყობამ, რითაც კოლმეურნეობას 27 აქტიური კოლმეურნე მკრეფავი შეემატა.

საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად მონაწილეობენ სოფლის მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლე ახალგაზრდობა. მარტო მოსწავლეებმა საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოკრიფეს 29.110 კილოგრამი ფოთოლი.

მეორე, მესამე და მეექვსე ბრიგადებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის მიმდინარე წლის გეგმა და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 12-14 ტონა ხარისხოვანი ნედლეული თვითეულმა.

კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი ჩაიდან წელს 25 აგვისტოსათვის 2.437.000 მანეთს შეადგენს. დღემდე მოკრეფილი ფოთლის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის ნაკრეფს. თუ შარშან საშუალოდ ჰექტარზე მოიკრიფა 2.200 კილოგრამი ფოთოლი, წელს მოსავლიანობამ ჰექტარზე დღეისათვის 2.500 კილოგრამს მიაღწია.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის წარმატებით შესრულებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალმა დონემ. საagიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა 24 აგიტატორი, გამოდის ერთი კედელის და 8 საველე გაზეთი. სამეურნეო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად ქმედითად არის გამოყენებული წარმატებათა მოპოვების ნაცადი მეთოდი — სოციალისტური შეჯიბრება. დაწესებულია მოწინავე რგოლის, ბრიგადის გარდამავალი წითელი დროშა, რომლის მიკუთვნება ხდება ათდღიურში ერთხელ. ამჟამად დროშის მფლობელები არიან მესამე ბრიგადა და ამ ბრიგადის მეორე რგოლი. ჩაისუბნელები წარმატებით იბრძვიან ახალი ვალდებულების განაღდებისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის კოლმეურნეობას გადაეცა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

ჩაისუბნელთა მაგალითს უნდა მიბაძონ რაიონის სხვა კოლმეურნეობებმა. განსაკუთრებით ეს შეეხება ნაკადულის, ბუკისციხის, ერკეთის, ონჭიქედის, ბურნათის კოლმეურნეობებს, რომლებიც ძლიერ ჩამორჩებიან ჩაის კრეფაში.

ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობამ შეასრულოს ჩაის ნედლეულის კრეფა-დამზადების წლიური გეგმა.

ა. გურგენიძე,
ჩოხატაურის რაიონული გაზეთის „ბრძოლის დროშის“ რედაქტორი.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში ყველაზე მეტად დაწინაურდა მესამე ბრიგადა, რომელსაც მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა. **სურათზე:** კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. შარაშენიძე (მარჯვნივ) ბრიგადირ ზ. უდენტს გადასცემს გარდამავალ წითელ დროშას.

ფოტო შ. გოქაძისა.

სარედაქციო ფოსტიდან

ცხაკაიას რაიონიდან — ბოსტნეულიც ცხაკაიას თვალი

კურორტი მენჯი ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ყოველ წელს აქ ათასობით მშრომელი ჩამოდის სამკურნალოდ. ბუნებრივია, რომ ზაფხულში დიდი მოთხოვნილებაა ბოსტნეულზე. კურორტ მენჯში, რომელიც ქალაქ ცხაკაიადან 3 კილომეტრზეა, დარდვეულია ბოსტნეულით მომარაგების წესი.

წლების მანძილზე მენჯი ბოსტნეულით მარაგდება წყალტუბოს „კურორტვაჭრობიდან“. წელს პირველი აპრილიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე აქ უნდა მიეღოთ ტონობით კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი, ხილი, საკომპოტე მასალა და სხვ.

ცხაკაიას რაიონში რამდენიმე საბჭოთა მეურნეობაა. მათ ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ მენჯი ყოველდღე უზრუნველყონ ახალი, მაღალხარისხოვანი მწვანილით. მაგრამ ასე როდი ხდება. ზემდგომი ორგანოების განკარგულებით ტეხურის საბჭოთა მეურნეობა ყოველდღე წყალტუბოში ეზიდება ტონობით ბოსტნეულს. მაგალითად, 15 აგვისტოს წაიღეს 1.700 კილოგრამი, 16 აგვისტოს — 1.840, 17 აგვისტოს — 2.300, 18 აგვისტოს — 1.255 კილოგრამი და ა. შ. სულ წელს ამ მეურნეობიდან წყალტუბოს „კურორტვაჭრობას“ ჩაბარეს 24 ტონა ბოსტნეული.

როგორც აქედან ჩანს, ადგილზე არის მენჯის საუკეთესოდ მომარაგების პირობები. მაგრამ კურორტის ხელმძღვანელობა, თავისი სურვილის წინააღმდეგ, იძულებულია ტეხურის საბჭოთა მეურნეობიდან წყალტუბოში წაღებული მწვანილი, ბაღჩეული ისევ ცხაკაიაში შემოზიდოს.

ტეხურის საბჭოთა მეურნეობას ბოსტნეული 12 ჰექტარზე უთესია. აქ მოჰყავთ პამიდორი, ხახვი, ლობიო, წიწაკა, ბადრიჯანი, კიტრი, ოხრახუში და სხვ. შემკვეთ ორგანიზაციებს დროზე არ გაავთ მეურნეობიდან პროდუქცია. საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ეს აცნობა ზემდგომ ორგანოს. 10 აგვისტოს მიიღეს მოწერილობა, რომლითაც საქართველოს კურორტვაჭრობის დირექტორს ამხ. ნ. მაისურაძეს დაევალა საქმის სასწრაფოდ მოგვარება.

მენჯიდან ტეხურის მეურნეობამდე სულ 15 კილომეტრია, ხოლო წყალტუბომდე სამჯერ მეტი. საკვირველია, ვინ დაგეგმა ასე მენჯის უზრუნველყოფა ცხაკაიას რაიონიდან გაზიდული ბოსტნეულით?

დასკვნა ერთია: საქართველოს სსრ კურორტვაჭრობის ხელმძღვანელობა ზერელედ, საქმის არსში ჩაუწვდომლად ხელმძღვანელობს ამ მეტად სერიოზულ საქმეს. როდემდის გაგრძელდება ასე?

ბ. მიმინოშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„არ შევურიგდეთ ნაკლოვანებებს მოსავლის აღებაში“

— გორის რაიონის მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებში არ სრულდება მკის ყოველდღიური დაგალებები, ცუდად იბრძვიან პურეულის დანაკარგების წინააღმდეგ,—წერდნენ „კომუნისტის“ 7 აგვისტოს ნომერში რედაქციის მონაწილენი.

პარტიის გორის რაიკომი გვატყობინებს, რომ გაზეთში წერილის გამოქვეყნებისთანავე ადგილზე მიღებულ იქნა ზომები მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობაში მეორე დღესვე 3 ტონა თავთავი აკრიფეს. ასევე დიდძალი თავთავი შეაგროვეს სოფლების საქაშეთის, ყელქეფლის და ბერშუეთის კოლმეურნეობებში. ბერშუეთის და ნიქოზის კოლმეურნეობებში დროულად მოამზადეს თესლი სამომდგომო თესვისათვის.

მეორე ფრონტის ნაპირებზე

...ინ ფართო, მტვრიანი გზაა. მანქანის ...ბელიდან მოჩანს გზის ორივე მხარეს ...ალწვდენელ ოკეანესავით გაშლილი ოქროს...ერი ყანები, ლურჯი ცის ნაგლეჯი და სად... შორს, ჰორიზონტზე ამოტივტივებული, ...ებლის ქულა. ირგვლივ ბუჩქი რა არის, ...აც კი ვერ დაკრავს კაცი თვალს.

...ასილ იაკობის-ძე კალაჩოვი, ზატობოლსკის ...ონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნე...ის თავმჯდომარე, ხანშიშესული ზორბა ...ი, რომლის მსხვილ ნაკვთებიან სახეს მზი... და ქარისაგან აგურის ფერი დასდებია, ...ან მჯდომ ჭაბუკს მიუბრუნდა, სუფთად გა...ხეულ საულვაშეზე თითი გადაისვა და თვა...ჩაუკრა.

— რასაც ხედავ, ეს სულ ჩვენი მეურნეო... 10 ათასამდე ჰექტარზე გვითესია ხორბა... კარგ დროს ჩამოგვისწრათ დასახმარებ...ად, სამუშაო სამყოფი გექნებათ. ხედავთ, ...ყანებია? წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ 150 ...ენტნერზე მეტი პური უნდა მიიღოს.

...ალაჩოვმა მოჭუტული ბროდა თვალები ჰო...ონტს მოავლო და ჩაფიქრებულმა დასძი...

— ხუმრობა საქმე კი არ არის, მარტო ჩვე... კუსტანაის ოლქმა სახელმწიფოს იმდენი ...რი უნდა მისცეს, რამდენიც თითქმის მთელ ...ადაშიც არ მოდის. ზღვა მოსავალია, ზღვა! ...ემდგომ ისევ ჭაბუკს მიუტრიალდა და მგო...მეოცედ ჰკითხა:

— მაშ საქართველოდან ხართ? რამდენი კა...ჩამოვიდა?

— თქვენს რაიონში 416. ისე კი ორი ათას...მეტი ახალგაზრდაა სულ საქართველოდან.

— ოჰო, ბლომად წამოსულხართო, — კმაყო...ლებით დააქნია თავი კალაჩოვმა, — ყო...! რა გვარი ხარ?

— კიწმარაშვილი გიორგი.

— ჰო, ძნელად დასამახსოვრებელი გვარები ...გაქვთ, — სიცილით თქვა კალაჩოვმა. ...ანკანა ნამკალში გავიდა. ყანის პირას გუ...ნით მიბმიდავდა კომბაინი.

— ეი, ვასია! კირიჩენკო! — დაიძახა კალა...ვმა, — სტუმარს არ მიიღებ? დამხმარე ძა... მოგიყვანე. აბა, თქვენ იცით, როგორ გაუძ...ებით საქმეს!

კომბაინერის მზემოკიდებულ სახეზე თეთ...ად გაიელვა კბილებმა.

წერილები ყაზახეთიდან

— რომ იტყვიან, სწორედ სულზე მოგვისწარით. გიმუშავნათ როდისმე ასეთ მანქანაზე? — ანიშნა მან გიორგის კომბაინზე.

გიორგიმ თავი გაიქნია.

— არა, მე ტექნიკუმში ვსწავლობ, ჯერ პრაქტიკაზეც არ ვყოფილვარ.

— აქ ისეთ პრაქტიკას გაიკეთებ, რომ გიყვარდეს! — გაატაკაცუნა თითები კირიჩენკომ, — იმუშავებ შემგროვებელზე. ძნელი სამუშაოა, კისერი ბზით და მტვერით აგევსება, მაგრამ რას იზამ, სხვა გამოსავალი არ არის. აბა შევუდგეთ, დროს ნუღარ დავკარგავთ!

კომბაინი დაიძრა. ახრიალდნენ ჯაჭვები. აქანავდნენ ცხრილები. შემგროვებელში უწყვეტ ნაკადად წამოვიდა ბზე. გიორგი სწრაფად მუშაობდა, მარჯვედ აგროვებდა ბზეს და სამითთას ერთი მოქნევით ნათიბის პირას ჰყრიდა მალე კისერი და მკერდი ბზით აევსო, დასცხა, ხალათი გაოფლიანებულ ბეჭებზე მიეკრა, მაგრამ კიწმარაშვილი ამას ყურადღებას არ აქცევდა. იგი აქ, ამ შორეული კუსტანაის თვალუწვდენელ მინდვრებზე რატომღაც უარესს მოელოდა. აქ კი თურმე ყველაფერი ისევე ჩვეულებრივია, როგორც ყველგან, ცაში აჭიკი ტოროლაც სწორედ ისე გალობს, როგორც შინ, ტირიფონის ველზე. მხოლოდ ის კია, რომ გიორგის თავის დღეში არ ენახა ასეთი ვრცელი, დაუსრულებელი ყანები.

გიორგის გაელიმა თავის პირველ წარმოდგენაზე აქაურობის შესახებ და უცებ მთელი ხმით წამოიწყო მჭექარე, ხალისიანი სიმღერა.

* * *

მარტო გიორგი კიწმარაშვილს როდი ეგონა აქ ჩამოსვლამდე, რომ უამინო მიწები ხვლიკების, მორიელებისა და უწყლოობის მხარეა. ბევრი მისი თანამგზავრიც ამას ფიქრობდა და ბევრ მათს გამცილებელს დღესაც ასეთი წარმოდგენა აქვს აქაურობაზე. ნიტა კი ერთი დანახვა მათ, სინამდვილეში როგორ მოეწყვნენ ყაზახეთის ამ ტრიალ მინდვრებზე საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდები.

ჯერ იყო და, აქაური პაერის სიჯანსაღემ გააოცა გიორგი, მერე იყო და, მდინარე ტობოლის გრილმა ტალღებმა კარგად მოუჯერეს გული, ადგილობრივ მცხოვრებლებსაც სწრაფად დაუმეგობრდნენ, სერგეევკელები სულსა და გულს არ იშურებენ მოსავლის აღებაში დასახმარებლად ჩამოსული ქართველი სტუმრებისათვის. მაგრამ ერთი რამ მაინც აწუხებდა გიორგის — ბევრ კარგ ამბანაგს დაეშორეს, სულ სხვადასხვა რაიონებში გაანაწილეს ბიჭები: მცხეთელი, ბოლნისელი, ხაშურელი და საგარეჯოელი ახალგაზრდები კუსტანაის რაიონში; თბილისელები — ვედენსკის რაიონში, მათი ჯგუფი კი, რომელშიც ფოთელი, სოხუმელი, ზესტაფონელი, სამტრედიელი და ზუგდიდელი კომკავშირელები შედიან, აქ, ზატობოლსკის რაიონში გამოგზავნეს. კაცმა რომ თქვას, არც ისე ცუდი ადგილია: ცხვირწინ დაბა სერგეევკა, გვერდით ელექტროსადგური, უკან, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ბროლივით კამკამა მდინარე, სადაც პირველ დღესვე ბიჭებმა იმდენი თევზი დაიჭირეს, რომ „მზარეულებმა“ შოთა კლარჯეიშვილმა და ვალტერ მარგოშიამ აღარ იცოდნენ რა მოეხერხებინათ მისთვის.

... ცხარე მუშაობაა გაჩაღებული მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მანქანები ველარ აუდიან გალეწილი ხორბლის ზიდვას, წინ დიდი სამუშაოა, ჯერ ნათესების სამი მეხუთედი ისევ ხელუხლებელია. მეზობელ ნაკვეთებში, ისევე როგორც გიორგი, ბზის შემგროვებელზე მუშაობენ ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტი ლეო შენგელია, კულაშის ზოოვეტერინალური ტექნიკუმის სტუდენტი ლონგინოზ გელაშვილი, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტი რეზო ტაბატაძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა ივანე ოსიპენკო და სხვები. და აი გელაშვილმა და ოსიპენკომ ველარ გაუძლეს. მტვერმა და ბზემ დაიფრთხო ისინი. კომბაინები მიატოვეს და ბანაკში დაბრუნდნენ.

— რა მოხდა, ბიჭებო, კომბაინები ხომ არ გაფუჭდა? — შიმოხვდათ წინ მეორე ბრიგადის ბრიგადირი ზუგდიდის საშუალო სკოლის მასწავლებელი კონსტანტინე სახეიშვილი.

— არაფერი არ გაფუჭებულა, — უგემურად წაიბურტყუნეს მოსულებმა, რომლებსაც უკვე გარს შემოხვევოდნენ ამხანაგები.

— ე, მოიცათ, ესენი ჭკონი სამუშაოდან გამოიპარნენ! — წამოძახა მზარეულის თეთრ ხალათში გამოწკეპილმა შოთა კლარჯეიშვილმა, რომელიც ქაფქირით დაემუქრა თავჩაქინდრულ „დეზერტირებს“, ახი არ იქნება, რომ ახლა ამით თავი გაგიტეხოთ ორივეს? ჭამაში დიდ ვაჟკაცობას იჩენთ და სამუშაოზე მოგიდუნდათ მკლავები?

გელაშვილმა შუბლქვეშიდან შეხედა ამხანაგებს, ცხვირი მოიწმინდა და თვითონაც ხმის აწევა სცადა.

— გამოიქცევი, მა რა იქნება! თვალები დამეთხარა ამდენი ბზისა და მტვრისაგან, სასიკვდილოდ კი არა მაქვს თავი გამეტებული!

— რას გეტყვი იცი, ლონგინოზ, — ჩაერია ლაპარაკში წარმოსადეგი, მზეზე გარუჯული ჭაბუკი ამირან ჩაბრავა, რომელიც სოხუმელი ახალგაზრდების ჯგუფს უდგას სათავეში, — მოდი წუწუნს თავი დაანებეთ. ორივემ კარგად იცოდით, სადაც მოდიოდით. ზოგიერთი ჩვენგანი ბევრად უარეს ადგილზე მუშაობს, მაგრამ ხმას არ იღებს. ახლავე გაბრუნდით უკან. ნუ გვარცხვენთ ამ უცხო ხალხში. ორ დღეში სათვალეები გვექნება და საქმესაც გაიადვილებთ.

ძნელი ასატანი იყო ამხანაგების საყვედური. შერცხვენილი „დეზერტირები“ წელათრევით გაბრუნდნენ კომბაინებისაკენ.

6 კილომეტრის მანძილზე ეზიდებიან მანქანები მარცვლეულს კომბაინებიდან კალამდე. ჰექტარზე 20-25 ცენტნერი ხორბლის მიღების დროს ეს არც ისე ადვილია. 15 მეტრიც არა აქვს გავლილი კომბაინს, რომ ბუნკერი უკვე პირამდე ივსება ხორბლით. უკანასკნელი სამი დღის მანძილზე კალოებზე სამი ათას ცენტნერზე მეტი ხორბალი იქნა მიზიდული. მისი დროზე გაწმენდა და ელევატორში გაგზავნა კი მეტად საჭირო იყო. მაგრამ ამდენი სამუშაოს მოხსნრება ვერა და ვერ ხერხდებოდა. რაღაც უნდა ეღონათ. ბიჭებმა სახელდახელო თათბირი მოიწვიეს. ზუგდიდის კომკავშირის რაიკომის მდივანმა ნოდარ ჩხოლარიამ წინადადება შეიტანა, გადასულიყვნენ მარცვალსაწმენდი მანქანების სადღეღამისო მუშაობაზე.

— ძალიან კარგი იქნება, — წამოიძახა ჯუმბერ კოკილაშვილმა, — სულ 75 კაცი ვართ ბრიგადაში, ერთ ცვლად მუშაობის დროს ზოგი უსაქმოდაც კი რჩება, ორ ცვლად მუშაობა კი თვითეულ ჩვენგანს დატვირთავს, შრომაც უფრო ნაყოფიერი იქნება.

გადაწყვიტეს და თავიანთი აზრი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას გაუზიარეს. კალაჩოვმა მოიწონა ქართველი ახალგაზრდების ინიციატივა და განკარგულება გასცა — არც ერთი წუთით არ შეეწყვეტათ კალოზე ელექტროენერგიის მიწოდება. მართლაც პირველსავე ღამეს თითქმის 1.000 ცენტნერი ქერი გაწმენდეს.

— ცეცხლი უტრიალებთ ამ ბიჭებს ხელებში, ცეცხლი! — კმაყოფილებით წკურავდა თვალებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მაგრამ ერთ დღეს მაინც მოუვიდა მათთან უსიამოვნება. საქმე იმაში იყო, რომ კოლმეურნეობის გამგეობა, რომელიც არ ელოდა ასეთ დიდ მოსავალს, მომზადებული არ იყო ამდენი მარცვლის მისაღებად. იძულებული გახდნენ ხორბალი პირდაპირ მიწაზე დაეყარათ. ამ სანახაობამ ბიჭები აღაშფოთა.

— განა შეიძლება ასეთი უპასუხისმგებლობა?—ეცა კალაჩოვს გაჯავრებული სახეიშვილი, — მიწაში გინდათ ჩავზილოთ ხორბალი? მასალა ხომ გქონდათ, რატომ დროზე არ მოაწყეთ მოედანი?

კალაჩოვს დასცხა, კისერზე ცხვირსახოცი მოისვა, მხრები აიჩეჩა.

— რა ვქნა, ჩემო კარგო, მასალა კი არის, მაგრამ მუშახელი სად ვიშოვნო? ვერა ხედავთ, პურის ასაღებადაც არა გვყოფნის ხალხი.

— კარგი, მოედანს ჩვენ გავაკეთებთ, თქვენ მხოლოდ მასალა არ მოგვაკლოთ.

სახეიშვილი ამხანაგებს მიუბრუნდა.

— აბა, ბიჭებო, დატრიალდით, სამ დღეში მოედანი მზად უნდა იყოს, ცოტა ფართო გავაკეთოთ, ასე 1.500 კვადრატულ მეტრამდე. სერგო ჩიორბელიძე, შალვა შამუჩია, ხუტა ხარლამპიდი, მიშა ჩიკვკატია — ამ საქმეს თქვენ განდობთ. ავჯიანი სად არის? აზად, შენ უხელმძღვანელებ მათ!

კალაჩოვი წარბშეკრული ადევნებდა თვალს ახალგაზრდებს. „ეშმაკმა დალახვროს, არ შემახურეს ამხელა კაცი? ესეც შენი სტუმრობა!“

— ხედავ, იაკოვლევიჩ, უფროსობაც რომ დაგვიყენეს, — ჩაიჩურჩულა მის გვერდით მდგომმა მოანგარიშე პეტკამ, — უპასუხისმგებლობასაც რომ გვაბრალებენ...

— ხმა გაკმიდე! — აენთო უცებ კალაჩოვი, — ეგ ბიჭები მართალი არიან. ადრე უნდა მოგვეფიქრა ყველაფერი. ყოველი მარცვლის დაკარგვა ნამდვილი დანაშაულია!

პრემიერ-მინისტრ ფაგერჰოლმის განცხადება

ჰელსინკი, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინ კუუსანკოსკში კიუმის პროვინციის სოციალ-დემოკრატების დელეგასიუზეზე სიტყვა წარმოთქვა ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ფაგერჰოლმმა, რომელიც შეეხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის ვიზიტს ფინეთში. მან თქვა, რომ ეს ვიზიტი დამადასტურებელია ფეზობელთა კარგი ურთიერთობისა და თანაბარუფლებიანობისა, რომლითაც საბჭოთა კავშირში ეკიდებიან ფინეთის ხალხს.

საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია ინდონეზიაში

ჯაკარტა, 27 აგვისტო. (საკდესი). ჯაკარტაში მყოფი საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის ხელმძღვანელი სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. თ. სემიჩასტნოვი მიიღო პრემიერ-მინისტრმა სასტროამიჯოიომ. საუბრის დროს მოხდა აზრთა გაზიარება ინდონეზიასა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შესახებ სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით. სასტროამიჯოიომ აღნიშნა, რომ წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ. მან იმედი გამოთქვა, რომ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეულ იქნება ორივე მხარისათვის კეთილსასურველი გადაწყვეტილება.

ინდონეზიაში მყოფი საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია იყო ინდონეზიის სხვადასხვა რაიონში, გაეცნო სურაბაიის სამრეწველო საწარმოთა, ბოგორის კაუჩუკის პლანტაციების, სუმატრის ქვანახშირის მაღაროების მუშაობას. დელეგაცია ეწვია კულტურულ დაწესებულებებს და დათვალიერა ინდონეზიის ბევრი ისტორიული ძეგლი.

ლონდონელთა უღიდესი ინტერესი სსრ კავშირის დიდი თეატრის მომავალი გასტროლებისადმი

ლონდონი, 27 აგვისტო. (საკდესი). ბალეტის ინგლისელი მოყვარულები დიდ ინტერესს იჩენენ სსრ კავშირის დიდი თეატრის საბალეტო დასის მომავალი გასტროლებისადმი ლონდონში. როგორც ცნობილია, გასტროლები დაიწყება 3 ოქტომბერს პროკოფიევის ბალეტით „რომეო და ჯულიეტათი“. გარდა „რომეო და ჯულიეტასი“, ინგლისელი მაყურებლები ნახავენ ბალეტებს „გედის ტბას“, „ბაღჩისარაის შადრევანს“ და „ეიზელს“.

დღეს დილით ლონდონის ოპერის თეატრმა კოვენტ-გარდენმა, რომელშიც გაიმართება სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის გასტროლები, დაიწყო ბილეთების გაყიდვა. სალაროების გახსნის მომენტისათვის თეატრის შენობის წინ ჩამწკრივდა ათასხუთასამდე ადამიანის რიგი. ბევრი სამ დღე და ღამეს იდგა რიგში, ღამეს ათევდა თეატრის შენობის წინ ტურისტულ კარვებში.

როგორც ლონდონის გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, დიდი თეატრის სპექტაკლების ბილეთების რიგი „რეკორდულია ლონდონისათვის და მოწმობს დიდი თეატრის დიდებას“. პრეს ასოციაციის საგენტოს ცნობით, კოვენტ-გარდენის თეატრის ერთერთმა მოსამსახურემ განაცხადა: „მრავალი წელია აქ ვმსახურობ და ასეთი დიდი რიგი არ მახსოვს. ეს სრულიად უჩვეულოა!“.

ანდრაშ ჰეგედიუში უნგრეთ-იუგოსლავიის ურთიერთობის შესახებ

ბუდაპეშტი, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ნადკანიეში (ზალას ოლქი) მშრომელთა მრავალთასიან მიტინგზე, რომელიც სამმოსაზე სახალხო ფრონტმა მოიწვია, სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ ჰეგედიუშმა. თავისი სიტყვის საგარეოპოლიტიკურ ნაწილში იგი შეეხო უნგრეთ-იუგოსლავიის ურთიერთობას.

გადავსინჯეთ და უკუვაგდეთ რა წარსულის შეცდომები, განაცხადა უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ჩვენ ვნანობთ იმას, რაც მოხდა, და მთელი ძალღონით ვეცდებიან იმას, რომ უნგრეთსა და იუგოსლავიას შორის, როგორც სოციალიზმის მშენებელ ორ ქვეყანას შორის, დავამყაროთ მჭიდრო თანამშრომლობა და კარგი ურთიერთობა პრინციპულ საფუძველზე.

ორივე მთავრობის კეთილმოსურნეობის შედეგად, თქვა ანდრაშ ჰეგედიუშმა, დიდი ძვრა მოხდა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების საქმეში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსური შეთანხმების დადებას და საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ნაყოფიერ განვითარებას. უნგრეთმა იუგოსლავიასთან დადო შეთანხმება ტექნიკურ, მეცნიერულ საკითხებზე და საჰაერო მიმოსვლის შესახებ. ფართოვდება კავშირურთიერთობა კულტურულ, მასობრივ-საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებს შორის. გუშინ მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ იუგოსლავიის მთავრობამ მიიღო უნგრეთის მთავრობის წინადადება, რომ ორივე მხარე გარდაქმნის დიპლომატიურ მისიებს საელჩოებად.

ჩვენი ორივე ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებამ, განაგრძო ანდრაშ ჰეგედიუშმა, შესაძლებლობა მოგვცა აღმოგვეფხვრა იუგოსლავიის საზღვარზე ის შეზღუდვები, რომლებიც 1949 წლის შემდეგ წარმოიშვა, მოგვესპო საზღვრისპირა ზოლი და ტექნიკური ღობურები.

მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად საზღვრისპირა რაიონში სრულიად შეუზღუდველად შეუძლიათ დაბრუნდნენ ისინი, ვინც გადავიდა აქედან 1949 წლის შემდეგ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა შედეგად. ამასთან მთავრობამ მითითება მისცა ადგილობრივ საბჭოებს, რომ მათ დახმარება და სესხი მისცენ ამ პირებს.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ისწრაფვიან შემდგომ გაუმჯობესონ ურთიერთობა ორივე ქვეყნის შორის და დაამყარონ კეთილმეზობლური მეგობრული და ძმური ურთიერთობა იუგოსლავიასთან.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება დასავლეთ გერმანიის ამბების გამო

ბერლინი, 26 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის საგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება დასავლეთ გერმანიის ამბების გამო.

შემოიღო რა საყოველთაო სამხედრო ბეგრის კანონი და შემდეგ აკრძალა რა გერმანიის კომპარტია, ნათქვამია განცხადებაში, ადენაუერის მთავრობამ სერიოზულად ხელყო გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესები, მშვიდობა და ურთიერთგაგება. მაშინ როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და შეთანხმების პოლიტიკას, როცა მთელ მსოფლიოში სულ უფრო დიდ მოწონებას პოულობს განიარაღების იდეა და დაძაბულობის შენელების იდეა, ფედერაციული რესპუბლიკის გაბატონებული წრეები ადგანან შეიარაღების გაძლიერებისა და მილიტარიზმის გზას. სამხედრო ბეგრის შემოღების შემდეგ მილიტარისტებს უნდათ გერმანიის კომპარტიის აკრძალვის საშუალებით გაითავისუფლონ გზა შეიარაღების პოლიტიკის განსახორციელებლად.

მაშინ როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ხალხის მასები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალი, სოციალისტური ცხოვრების შემდგომ დემოკრატიზაციაში, მილიონერები და მილიტარისტები ფედერაციულ რესპუბლიკაში ახშობენ დემოკრატიას და უნდათ მილიტარისტულ სახელმწიფოდ გადააქციონ დასავლეთი გერმანია. ხალხის მასების მისწრაფებათა საწინააღმდეგოდ დასავლეთგერმანულ იმპერიალისტებს სურთ განახორციელონ შეიარაღებისა და აგრესიის პოლიტიკა სამხედრო ბატონობის საშუალებებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ხაზგასმულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში, მტკიცედ იბრძვის გერმანიის გაერთიანებისათვის მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში. მაგრამ ის, ვინც ცდილობს, როგორც ამას შვრება ადენაუერის მთავრობა, სამხედრო ბეგრის შემოღების გზით გადააქციოს დასავლეთი გერმანია რეაქციულ მილიტარისტულ სახელმწიფოდ, ის, ვინც კანონგარეშე აყენებს გერმანიის კომუნისტურ პარტიას, ის კიდევ უფრო მაღალ ბარიერს ქმნის გერმანიის გაერთიანების გზაზე და აკვიდრებს გერმანიის გათიშვას. ამ ადამიანებს ყოველი სიტყვა გაერთიანების შესახებ თვალთმაქცობაა.

სამხედრო კანონის მიღება და გერმანიის კომპარტიის აკრძალვა, აღნიშნულია განცხადებაში, ნათლად გვიჩვენებს, რომ ადენაუერის მთავრობას აშინებს ორი გერმანული სახელმწიფოს მშვიდობიანი შეჯიბრების იდეა, რომლისთვისაც იბრძვიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ადენაუერის მთავრობა ჯიუტად განაგრძობს საშიშ და უპერსპექტივო „ძალის პოლიტიკას“. რადგან ეს პოლიტიკა სულ უფრო კარგავს ნიადაგს ხალხში, ადენაუერი მიმართავს მილიტარიზმსა და ტერორს, არღვევს დემოკრატიულ უფლებებს. ეს პოლიტიკა უნდა ჩაიშალოს და კიდევაც ჩაიშლება, რის საწინდარია დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის მისწრაფება განიარაღებისადმი და დაძაბულობის შენელებისადმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამშვიდობო წარმატებანი, ხალხთა მშვიდობისმოყვარული ნება და სოციალისტური სამყაროს მზარდი ძლიერება. კაცობრიობის დიად იდეას, რომლის შესაბამისად ამჟამად გარდაქმნილია მსოფლიოს მეტი ნაწილი და რომელსაც მომავალი ეკუთვნის, — სოციალიზმის იდეას ვერ მოსპობენ ტერორისტული საშუალებებით. ამას გვასწავლის ისტორიის მთელი გამოცდილება. გერმანიის კომპარტიის აკრძალვა ადენაუერის მთავრობის ძალის ნიშანი კი არ არის, არამედ იმის ნიშანია, რომ მას აშინებს ხალხის მოძრაობა მილიტარიზმის წინააღმდეგ, რომ მას ეშინია გერმანიის კომპარტიისა და მისი აქტივობისა, იმის ნიშანია, რომ შიშს განიცდის სოციალისტური იდეის უპირატესობის გამო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მზარდი და მიმზიდველი ძალის გამო. გერმანიაში სოციალიზმის იდეას მარტო ასეულ ათასობით კომუნისტი, სოციალ-დემოკრატი მუშა და პროფკავშირის წევრი როდი წარმოადგენს, — ამ იდეამ ხორცი შეისხა იმით, რომ გერმანელთა მიწაწყალზე შეიქმნა სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია სოციალისტურ საწყისებზე, — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. სოციალიზმი გერმანიაში მძლავრი ფაქტორი გახდა.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა დამყარდეს ყველა გერმანელ მუშათა ორგანიზაციების მოქმედების ერთიანობა და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მოქმედების ერთიანობა. გერმანიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში, ის არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაუღობოს გზა ომსა და უბედურებას, რომლებიც ყოველთვის იწყებოდა გერმანიის კომპარტიის აკრძალვით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მოქმედების ერთიანობის დამყარების შედეგად ჩაიშლება ბონის ხელისუფალთა აგრესიული გეგმებიც.

გერმანიის მუშათა კლასმა, ნათქვამია განცხადებაში, უნდა შეიგნოს დიდი საფრთხე, რაც მოახლოებულია დასავლეთ გერმანიის უკანასკნელი ამბების შედეგად. რეაქციონერებმა და მილიტარისტებმა სამხედრო დაკვეთების და გერმანიის კომპარტიისათვის გამოტანილი განაჩენის დახმარებით ხელფეხი გაიხსნეს, რათა ხელი შეუშალონ ან ჩაახშონ საქმიანობა ყველა დემოკრატიული პარტიისა და ორგანიზაციისა, რომლებსაც სურთ ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკის ძირეულად შეცვლა მშვიდობისა და ურთიერთგაგების მიმართულებით, რომლებსაც სურთ, რომ ბოლო მოეღოს ადენაუერის ერას.

ადგენს რა დივიზიებს და ახორციელებს რა ამკრძალავ ღონისძიებებს, რეაქციის სურს მიიღოს თავის ხელში იარაღი, რათა გამოვიდეს აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან სამხედრო ბეგრის განხორციელებას და ხელახალ შეიარაღებას, მილიტარიზმისა და ფაშიზმის განვითარებას.

ადენაუერს სურს დაასუსტოს მთელი მუშათა მოძრაობა, გააძლიეროს რეაქცია და ხელი შეუშალოს ოპოზიციის გამარჯვებას ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში. დასავლეთ გერმანიის თვითეულმა მშრომელმა უნდა შეიგნოს, რომ ხუთასათასიანი არმიის შექმნა გამოიწვევს ძალთა საშინაპოლიტიკური თანაფარდობის შეცვლას რეაქციის სასარგებლოდ. მუშათა კლასის გაერთიანებულ მოქმედებას კი შეუძლია ხელი შეუშალოს მილიტარისტული ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნას და ხელფეხი შეუკრას მილიტარისტებს.

ამ ვითარებაში, ნათქვამია შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც ამჟამად ერთადერთი ლეგალური მუშათა პარტიაა დასავლეთ გერმანიაში, სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება. გერმანიის კომპარტიის აკრძალვით სოციალისტური მუშათა მოძრაობისათვის მიყენებული დარტყმა შეიძლებოდა თავიდან აცილებული ყოფილიყო, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა და დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებანი რომ გამოსულიყვნენ თავისუფლებისა და უფლების დასაცავად, ამ ორგანიზაციათა ზოგიერთ ხელმძღვანელ მოღვაწეს რომ უკან არ დაეხია რეაქციის გაფფრთებული შემოტეკის წინაშე.

ახლა თვითეული გერმანელი მუშა და დემოკრატი ხედავს, რომ ცივი ომის პოლიტიკა, პროპაგანდისტული კამპანია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ანტიკომუნიზმი ქმნიან შხამიან ატმოსფეროს, რომელშიც ვითარდება რეაქცია, მილიტარიზაცია და ფაშიზაცია. ნათლად დასტურდება ის გარემოება, რომ მუშათა პარტიებს შორის უთანხმოება ხელსაყრელია მხოლოდ მონოპოლისტებისა და მილიტარისტებისათვის და რომ ეს უთანხმოება ასუსტებს მუშათა კლასის, აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის პოზიციებს. ვისაც მშვიდობა, დემოკრატია და პროგრესი სურს, კიდევ მეტი ძალით უნდა იბრძოლოს მთელი გერმანიის მუშათა ორგანიზაციების ურთიერთგაგების მიღწევისა და თანამშრომლობისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბასტიონის ყოველმხრივ განმტკიცება და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შემდგომი გაძლიერება, პარტიისა, რომელიც მთელი ჩვენი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის იბრძვის, საუკეთესო პასუხი იქნება იმაზე, რომ ადენაუერის ჯგუფმა აკრძალა გერმანიის კომუნისტური პარტია.

შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამხედრო კანონებს და გერმანიის კომპარტიის აკრძალვას არასოდეს არ ცნობს გერმანელი ხალხი და რომ მათი გაუქმებისათვის ბრძოლა გერმანიის მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიული ძალების საერთო საქმე და უთუო მოთხოვნაა. ის საქმე, რომლისთვისაც გერმანიის კომუნისტური პარტია იბრძვის, ნათქვამია განცხადების დასასრულს, მუშათა კლასისა და ხალხის საქმე გაიმარჯვებს, რადგან ის სამართლიანი საქმეა. ამავე დროს რეაქცია და მილიტარიზმი ისტორიაში, გარდა წყევლა-კრულვისა, ვერაფერს ვერ დატოვებენ.

საპროტესტო მიტინგები პოლონეთში გერმანიის კომპარტიის აკრძალვის წინააღმდეგ

ვარშავა, 27 აგვისტო. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გრძელდება პროტესტები გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის წინააღმდეგ. მასობრივი მიტინგები გაიმართა ვარშავის, კრაკოვის, ლოძის, ვროცლავის, გდანსკის, ლიუბლინისა და ბევრი სხვა ქალაქის სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, აგრეთვე პოლონეთის სოფლებში. მუშები, გლეხები, ინტელიგენტები — პოლონელი ხალხის ყველა ფენის წარმომადგენლები აღფოთებას გამოთქვამენ დასავლეთ გერმანიის კარლსრუეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო.

გაზეთები ყოველდღე აქვეყნებენ ცნობებს საპროტესტო მიტინგების შესახებ, აგრეთვე ამ მიტინგების მონაწილეთა მიერ მიღებულ რეზოლუციებს.

კრაკოვის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

პირობას ვაძლევთ გერმანელ კომუნისტებს, რომ მათთან ვართ მათს კეთილშობილურ და ძნელ ბრძოლაში. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ გაუქმდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ, რომელიც მიმართულია გერმანელი ხალხის, აგრეთვე ევროპისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

საოკეანო გემ „ბატორიის“ მეზღვაურებმა, რომლებიც მიტინგზე შეიკრიბნენ, დაგმეს დასავლეთგერმანელ ხელისუფალთა მოქმედება. ეს ტერორისტული აქტი, აღნიშნულია მიღებულ რეზოლუციაში, მიმართულია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ და განსაკუთრებით გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

სპორტის ამბები

ნორჩ სპორტსმენთა საღამო კრემლში

მოსკოვში მთელი ჩვენი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მოსწავლეთა მესამე საკავშირო სპარტაკიადის მონაწილენი. რამდენიმე დღის განმავლობაში, დედაქალაქის სტადიონებზე, სპორტულ დარბაზებში, აუზებში გაჩაღებული იყო შეუპოვარი ბრძოლა პირველობისათვის.

კვირას, 26 აგვისტოს, ნორჩი სპორტსმენები მიიწვიეს კრემლის დიდ სასახლეში სპარტაკიადის დამთავრებისადმი მიძღვნილ საღამოზე. ბევრი მათგანი პირველად მოვიდა აქ. სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა მ. ი. სემეონოვმა გააკეთა მოხსენება შეჯიბრების შედეგების შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ა. დანილოვმა მიულოცა სპორტსმენებს კარგი შედეგები და უსურვა მათ ახალი წარმატებანი სწავლასა და სპორტში.

შეკრებილთა ერთსულოვანი ტაშის გრიალში გამარჯვებულთა კოლექტივს — მოსკოველ მოსწავლეებს გადაეცა სპარტაკიადის გარდამავალი პრიზი. რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ნორჩმა ფიზკულტურელებმა, რომლებმაც მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, დიპლომები მიიღეს.

ჯილდოების გადაცემის შემდეგ საღამოს მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

დამთავრდა ევროპის ქალთა ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში

ბელგრადი, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ბლედის ტბაზე (იუგოსლავია) გაიმართა ქალთა აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის პირველობის ფინალური შეჯიბრება. საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა პირველი ადგილები დაიკავეს შეჯიბრების 5 სახეობიდან სამ სახეობაში და მოიპოვეს ევროპის ჩემპიონთა ოქროს მედლები.

ორპირა ნიჩბიან ოთხიანთა ფინალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა სსრ კავშირის გუნდმა.

შეწყვეტილი ოთხიანით აგრეთვე გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა. მათი დროა 3 წუთი და 32,8 წამი.

საბჭოთა გუნდს მესამე გამარჯვება მოუტანა რვიანმა. მისი დროა 3 წუთი და 19,4 წამი.

ერთიანით გამარჯვება მოიპოვა შოლცმა (გერმანია), უჩვენა 4 წუთი და 00,6 წამი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ჩუმაკოვა ფინიშთან მივიდა მეოთხე, მისი დროა 4 წუთი და 10,1 წამი.

შეწყვეტილი ორიანით გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა. მათი დროა 3 წუთი და 47,5 წამი.

გაიხსნა საერთაშორისო საჰადრაკო ფედერაციის კონგრესი

26 აგვისტის მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჰადრაკო კლუბში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საერთაშორისო საჰადრაკო ფედერაციის (ფიდეს) XXVII კონგრესი.

კონგრესის გახსნისას ფიდეს პრეზიდენტი ბ-ნი ფ. როგარდი (შვეიცარია) მიესალმა მოსკოვში ჩამოსულთ — 30 ეროვნული საჰადრაკო ფედერაციის დელეგატებსა და მრჩევლებს.

კონგრესის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ალმასკომის სახელით მოსკოვის საბჭოს მდივანი ბ. ე. როდიონოვი.

სსრ კავშირის საჰადრაკო სექციის სახელით კონგრესს მიესალმა საერთაშორისო გროსმაისტერი ვ. ვ. რაგოზინი.

მისალმებათა შემდეგ კონგრესი შეუდგა საერთაშორისო საჰადრაკო ფედერაციის საქმიანობის განვლილ პერიოდში ფინანსური და საორგანიზაციო საკითხების განხილვას, აგრეთვე დაამტკიცა ჭადრაკის თამაშის საერთაშორისო წესების ზოგიერთი დაზუსტება.

ჭადრაკში თვალსაჩინო მიღწევებისათვის საერთაშორისო გროსმაისტერის წოდება მიენიჭა ვიქტორ კორჩნოის (სსრ კავშირი) და ალბერიკ ოკელის (ბელგია), საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღეს ვოლოდგანგ ულმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მიკლოშ ბელემ და გიორგი სილადიმ (უნგრეთი), ფრიდრიკ ოლაფსონმა (ისლანდია), იოანეს რეიფირმა (ჩეხოსლოვაკია) და არგენტინელმა ოსტატმა პაბლო მიშელმა. (საკდესი).

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი, 28 აგვისტო. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

უალკოჰოლო სასმელები, გამაგრილებელი წყლები

ზაფხულობით განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა უალკოჰოლო სასმელებსა და გამაგრილებელ წყლებზე. ამჟამად რესპუბლიკაში უალკოჰოლო სასმელების ქარხნებში და რაიონული ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში დიდი რაოდენობით მზადდება სხვადასხვა სახის ლიმონათი, სიროპი, ხილის წვენი. წელს ნავარაუდევია 1.070.000 დეკალიტრი უალკოჰოლო სასმელებისა და სადესერტო წყლების ჩამოსხმა. მარტო მესამე კვარტალში მოსახლეობა მიიღებს 325.700 დეკალიტრ ლიმონათს და 10.000 დეკალიტრ სხვადასხვა სიროპს.

თბილისის უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავა გაზის ქარხანაში ცნობილი სპეციალისტების მიტროფანე და მიხეილ ლადიძეების ხელმძღვანელობით მზადდება მსხლის, შინდის, ალუბლის, ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის ლიმონათი, „კრეშ-სოდა“, „სიტრო“, „თბილისი“ და სხვ., გარდა ამისა, ბურახი, სხვადასხვა სახის ხილისა და სოდა სერტო სიროპები.

ქარხანაში დამზადებული ლიმონათი, სიროპი და ხილის წვენი დიდი რაოდენობით იგზავნება მოსკოვში, სოჭში, ხოლო ნახშირმჟავა გაზის მომხმარებლები არიან ამიერკავკასიის რესპუბლიკების უალკოჰოლო სასმელების საწარმოები.

ზაფხულში მცირეალკოჰოლიან სასმელებზე გაზრდილ მოთხოვნილებას რესპუბლიკა აკმაყოფილებს რესპუბლიკური დამქვემდებარების 8 და ადგილობრივი მრეწველობის ლუდის ქარხანა, რომლებმაც წელს უნდა მიაწოდონ მოსახლეობას 4.400.000 დეკალიტრი ლუდი.

• • •

თბილისის ხილეულიხ წყლების ქარხანა სურათზე: მუშები ნ. როგაჩოვა (მარცხენა) და ს. წიკლაური უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელ მანქანა „ინვესტასთან“.

ფოტო შ. ბეჟანიშვილისა.

უნგრული ესტრადის ორკესტრის კონცერტი წყალტუბოში

მრავალი მაყურებელი მიიზიდა უნგრული საესტრადო ორკესტრის კონცერტმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა კურორტის ესტრადაზე.

ორგანყოფილებიან პროგრამაში ორკესტრმა შეასრულა უნგრული ხალხური ცეკვები, სიმღერები, არიები ოპერეტებიდან, აგრეთვე საბალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა სიმღერები.

მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელი ტ. ბონისლავსკის და ლ. სეიკეის გამოსვლა. ვირტუოზულად იკითხა ლ. ტომჩანსკის „ცენტრიკული ვალსი“.

უნგრული საესტრადო ორკესტრის წყალტუბოში ჩამოსვლა ფრიად საყურადღებო მოვლენაა. იგი ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობის ამ ორ ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. (ხაკ. კორ.).

ქუთაისის თეატრის გასტროლების წინ

პირველ სექტემბერს თბილისში გასტროლებს იწყებს შესანიშნავი თეატრალური ტრადიციების მქონე საქართველოს ერთ-ერთი უძველესი შემოქმედებითი კოლექტივი — ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუთაისის თეატრის კოლექტივი თბილისში საგასტროლოდ მეოთხედ იმყოფება.

თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს ქუთაისის თეატრს. ქართული თეატრის ისტორიის ოქროს ფონდში შევიდა ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დადგმული სპექტაკლები. თეატრი წარმატებით ინარჩუნებს და ავითარებს იმ შემოქმედებითს ტრადიციებს, რომლებიც წლების მანძილზე უანგარო მოღვაწეობით შექმნეს ჩვენი კულტურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა: ა. წერეთელმა, კ. მეხსმა, ლ. მესხიშვილმა, ნ. ჩხეიძემ, ვ. გუნიამ, ვ. აბაშიძემ, შ. დადიანმა, ა. იმედაშვილმა, ი. ზარდალიშვილმა, უ. ჩხეიძემ, ვ. ანჯაფარიძემ და სხვებმა.

თეატრის შემოქმედებითს კოლექტივს ამჟამად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, ხოლო რეჟისორებად მუშაობენ და ცალკეულ დადგმებს ახორციელებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. ლორთქიფანიძე, დ. აბაშიძე, თ. მაღალაშვილი. თეატრის მთავარი მხატვარია დ. თაყაიშვილი.

ქუთაისის თეატრის მაღალნიჭიერ, შემოქმედებითს კოლექტივში მრავალი წლის მანძილზე მუშაობენ მსახიობები, რომელთა სახელებს კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის მაყურებლები. ესენი არიან: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები — თ. ღვინიაშვილი, თ. კიკნაძე, ნ. წინამძღვარი, შ. ხონელი, ვ. ჩხიკვაძე, ან. მურუსიძე, მ. სვანიძე, შ. პირველი, შ. ბაჯაღლია, ვ. მეგრელიშვილი, ი. ხვიჩია; მსახიობები — მ. გელაშვილი, თ. პოკროვსკაია, ქ. კოლხიდელი, ბ. ჯაფარიძე, გრ. კოსტავა, გ. ნაცვლიშვილი, ალ. ქელბაქიანი და სხვ.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის საგასტროლო სპექტაკლები გაიმართება რკინიგზელთა სახლში და რუსთაველის სახელობის თეატრში. გასტროლები 1-დან 24 სექტემბრამდე გასტანს. ამ ხნის განმავლობაში ნაჩვენები იქნება 24 სალამოს და 3 დილის რომდგენა. თბილისელი მაყურებელი ნახავს თეატრის ზოგიერთ საუკეთესო დადგმას: უ. შექსპირის „ოტელოს“, კ. ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“, ლ. ქიაჩელის „ტარიელ ლეკვს“, დ. თაქთაქიშვილის „გრიბოედოვს“, მ. ჯავახიშვილის „ჩვენებურებს“, ვ. კიკნაძის „მაია წყნეთელს“, ი. ჭავჭავაძის „კეთილ მეზობლებს“.

გასტროლების პერიოდში მოეწყობა თეატრის კოლექტივის შეხვედრები ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან, რაიონების გზელებთან და მსხვილ სასაწარმო-დაწესებულებების მუშებთან. მოსამსახურეებთან.

თბილისში საგასტროლო სპექტაკლების დამთავრების შემდეგ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი გაემგზავრება ქალაქ რუსთავში, სადაც დან 30 სექტემბრამდე მოგზურება მეტალურგებს.

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის საგასტროლო სპექტაკლები გარკვეულ წარმატებას ჰპირდება ყველა ამ თეატრის მოყვარულს. ამ ფაქტს ადასტურებენ ოსტატობაზე.

რედაქტორის მოადგილე ა. ჩავლეიშვილი

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები

ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშებზე;

გასცემენ ანაბრებს მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე;

გზავნიან ანაბრებს მეანაბრეთა დავალებით სსრ კავშირის ყველა შემნახველ სალაროში;

აწარმოებენ აკრედიტივების გა